ეროვნული ბიბლიოთეკა

645
1968



# საქართველოს ქალი

მარტი
№ 3 1968 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალმხრივია და დიდი საბჭოთა ქალების, საქმიანობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. არ არსებობს სახალხო მეურნეობისა და კულტურის არც ერთი დარგი, სადაც ქალებს თავიანთი შრომითი გმირობით, საქმისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულებითა და ოსტატობით არ გაეთქვათ სახელი. ბუნებით სათნო და ნაზი ქალის, საჭიროების შემთხვევაში ფოლადის სიმტკიცეს იძენს, მისი გონება მეცნიერების ჯერ მიუწვდომ მწვერვალებს ეჭიდება, კოსმიურ სივრცეებს იპყრობს და მთელი მოწინავე კაცობრიობის მხარდამხარ იბრძვის მსოფლიოს მშვიდობიანი დღისათვის, იბრძვის, რომ უღრუბლო იყოს ცა, რომ ყოველ დილით დედამიწის ყველა კუთხეში სიხარულით გაიღოს სკოლის კარები, რომ ჩვენმა შვილებმა ლაღად შესცინონ მზეს, სიცოცხლეს, სიხარულს.

და მაინც უპირველესი და უმაღლესი ვალი ქალის — დედის მარადჟამს ყოფილა და არის შვილის — მისი ქვეყნის მომავლის აღზრდა.

ლამაზად შვილის აღმზრდელი
დედა მიცვნია ღმერთადა —

ამბობს ჩვენი სასიქადულო პოეტი ვაჟა-ფშაველა. ნუ დავივიწყებთ!

ძვირფასო ქალებო, სულითა და გულით გილოცავთ ქალთა დღეს, პირადად ჩემი და ჩვენი ჟურნალის მრავალათასიანი მკითხველების სახელით — თქვენი შვილების სახელით გისურვებთ წარმატებებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ჯანმრთელობას, დიდ პირად ბედნიერებას. ნურც მოგვშლოდეს შვილების ლამაზად გაზრდის უკეთილშობილესი და უმაღლესი პატივი!

ბაბულია შელია,
ჟურნალ „პიონერის“ მთავარი რედაქტორი.





საქართველოში, წარმართული ხალხური წარმოსახვით, მიწის ყოველ მტკაველს თავისი ე. წ. ადგილის დედა ჰყავს. ქართველი ერის ქრისტეს რჯულზე მოქცევაც, როგორც ვიცით, ქალს მიეწერება.

ქართველი მანდილოსანი ოდითგანვეა ცნობილი თავისი მწიგნობრობითა და საზოგადო მოღვაწეობით. ჯერ კიდევ მეოთხე საუკუნეში წმინდა ნინოს ბიოგრაფები არიან ზეპურნი დედანი სალომე უჯარმელი და პეროჟავრი სივნელი; „მაშინ მსწრაფლ მოიხვნეს საწერელნი სალომე უჯარმელმან და პეროჟავრი სივანელმან: იწყო სიტყვად წმინდა მან ნინო, ხოლო იგინი წერდეს“.

ქართული კლასიკური ლიტერატურის არაერთი ნიმუში გადაწერილია ქალთა მიერ; „წიგნი ესე მალხენილი და მარტოსა გამაძლებელი აღიწერა და განსრულდა ხელითა ავალიანის ქალის მაიასითა... ღმერთო, გაზარდე ბარათაშვილი მალხაზ, ამინ და კირიელეისონ!“

რაც მთავარია, წმინდა ნინოს ცხოვრებას აღწერდა იგი, თუ „მალხენელსა და მარტოსა გამაძლებელ“ წიგნს გადაწერდა, — ყოველთვის, ყველგან და მუდამ იყო დედა, დედა ქართველისა, აღმზრდელი მამულიშვილთა; „ღმერთო, გაზარდე ბარათაშვილი მალხაზ, ამინ და კირიელეისონ!“.. და, მერე, რამდენი მალხაზი, რატი, ყაფლანი, ალათანგი თუ ხურომანი აღუზარდა საქართველოს...

დღეს?! დღეს არ არსებობს მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის, სახალხო მეურნეობის არც ერთი დარგი, სპორტის თითქმის არც ერთი სახეობა, ქართველ ქალს რომ თვალსაჩინო ადგილი არ ეჭიროს.

ჟურნალი „საქართველოს ქალი“ თუ ქართველ დედებს აწვდის სულიერ საზრდოს, ჟურნალი „დილა“ მათი პატარების აღზრდის საპატიო საქმეს ემსახურება. და, ჩემი მხრიდან, ქალთა საერთაშორისო დღეს, ქართველ დედებს და, საერთოდ საქართველოს, რა უნდა ვუსურვო იმაზე უკეთესი, ვიდრე ბევრი შვილის ყოლა და მათი ღირსეულად აღზრდაა!

მუხრან მაჭავარიანი,
ჟურნალ „დილას“ მთავარი რედაქტორი.

# გრიგალის სიმღერა



საქართველოს ქალი

**მ. გორკი**

ჭაღარა ზღვის მფრთონავ ველზე ქარი ღრუბლებს გრაგნის. ღრუბლებს ქვემოთ, ზვირთთა შორის ქრის ელვა-გრიგალა.

ხან ფრთას დაჰკრავს ტალღის ქეჩოს, ხან ღრუბლებში ადის, ის რომ ჰკივის, ღრუბლებს ესმის ლაღი სიხარული.

ეს კივილი წყურვილია გიჟურ ქარიშხალის; მძვინვარება და იმედი კრთის ამ ყიჟინაში.

თოლიები შიშით კვნესენ, ცაში ნავარდობენ და ზღვის ფსკერში მზად არიან შთაინთქან ამ შიშით.

გაგარებიც ხმას აძლევენ, ვერც ისინი ხედვენ — რა ტკბილია, რა წარმტაცი ბრძოლა სიცოცხლისა, ელვა-ჭექა გულს უშფოთებს, ქარის ეშინიათ.

გულმხდალსა და სულელ პინგვინს შიშის ზარი იტანს. ტლანქ ტორტმანით მსუქან სხეულს კლდეთა შორის ფარავს... მხოლოდ ლაღი ქრის გრიგალა გაბედულად ცაში.

სულ ქუფრად და შავად დადის ძირს ღრუბელთა ჯარი. სიმღერით ცას ასკდებიან, ელვას ნთქავენ ზვირთნი.

გრგვინვა ქუხს და ლოშქრიანი ტალღა გრიგალს მისდევს. ჰა, დაბღუჯა ქარმა ზვირთნი, ბრაზით სტყორცნა კლდეებს, მტვრად აქცია და შხეფებად მთად ამდგარი წყალი.

გრიგალა კი წივის, დაჰქრის შავი ელვის მსგავსად, ვით ბოძალი-ღრუბლებს კოდავს, ქაფს ხდის ფრთის მოქნევით.

დემონივით დაქრის ყველგან ქედმაღალი, შავი, ხან იცინის და ხან ტირის: ეს ღრუბლებზე ეცინება, სიხარულით ტირის.

მას ამ ხმებში რა ხანია ესმის დაღლილობა, სწამს და სჯერა, რომ ღრუბლები ვერ შთანთქავენ მზესა.

ქარი ღმუის, გრგვინვა კვლავ ქუხს...

ცისფერ ალად ანთებულა ცაში ღრუბლის ფარა, ზღვა იტაცებს ციდან ელვას და ტალღებში აქრობს, თითქოს გველნი იხლაკვნიან, ისე თრთიან წყალზე.

— გრიგალია!.. ჰა, საცაა დასჭექს ქარიშხალი!

ეს გრიგალის თამაშია, რომ ჰქრის ელვებს შორის, არად აგდებს ზღვის ამ ღმუილს და გაჰკივის ცაში: .

დაე, უფრო დაიჭექოს გრიგალმა და მეხმა!

1901 წელი

თარგმანი **დემნა შენგელაიასი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო ალნიაშვილი

# სვანური ქუდი

მოთხრობა

ძალიან იშვიათად თუ გავიდოდა გარეთ პაპა მურზაყანი სახლიდან. ხელში ერთთავად მსხვილთავა არგანი ეჭირა. თეთნულდის თოვლის ფიფქივით თეთრი, ხუჭუჭი წვერი ბიბლიურ იერს აძლევდა მოხუცს. წელთა სიმრავლეს წელში ვერ მოეხარა მურზაყანი

დიდი, ძალიან დიდი ოჯახის მამა იყო იგი: შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები თავს დასტრიალებდნენ სათაყვანებელ პაპას. სახლიდან გასულს ხანშიშესულები თუ მორბედები მორიდებით უთმობდნენ გზას, მოკრძალებით აძლევდნენ სალამს. სათავკაცო საქმე ხომ უიმისოდ არ გადაწყდებოდა თემში. ყველამ იცოდა მისი სიტყვის მადლი და ფასი.

ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა. ოჯახში მიჩვეული იყვნენ მისი ნათქვამის უსიტყვოდ შესრულებას.

ყოველ ცისმარე დღეს, ალიონზე და დაბინდებისას, მურზაყანი კოშკზე ავიდოდა, პირს აღმოსავლეთით — თეთნულდისაკენ იზამდა და რაღაცას ბუტბუტებდა. არავინ იცოდა, ლოცულობდა თუ მთებს ეალერსებოდა მოხუცი. ასე იდგა ყოველგვარ ამინდში, სასოებით გასცქეროდა მთებს — თეთრ გოლიათებს, და განა მარტო მთები უყვარდა მურზაყანს?! მას სვანეთის ადგილის დედაც უყვარდა, ცაც და ადამიანებიც... რა ვუყოთ, რომ ხალხს მურზაყანი ზვიადი და ამაყი ეჩვენებოდა, — გულღრძო არასოდეს ყოფილა, სიყვარულითა და სიკეთით ჰქონდა გული სავსე. გულჩათხრობილობა კი იმ შავბნელი დღის შემდეგ დასჩემდა, როცა სიყრმის შვილი გულბაათი დაეღუპა.

...ჰაუ, რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ, რამდენმა წყალმა ჩაიარა. ის კი ისევ თვალწინ უდგას, ისევ ესმის მისი შემაძრწუნებელი ძახილი: „მიშველე, მამავ!“

გულბაათს მურზაყანივით ბავშვობიდანვე დაჰყვა ხატვის სიყვარული და ეკლესიების მოსახატავად მუდამ თან დაჰყავდა მამას თავისი პირმშო. აჩვევდა საღებავების შეზავებას, ანგელოსებისა და წმინდანების ხატვას. საოცრად მალე აითვისა ბალღმა ყოველივე. მურზაყანს ემაყებოდა შვილის ნიჭი და მეცადინეობა.

...იმ დღეს, იმ შავბნელ დღეს... ღმერთო!... რა ძნელი მოსაგონებელია! ფეხი თუ აუცდა ხარაჩოებზე გულბაათს, მუშაობაში გართულმა, მხოლოდ შვილის ყვირილზე, შემზარავ ძახილზე მოიხედა და ძირს, ეკლესიის იატაკზე პირქვეგართხმული გულბაათი რომ დაინახა, დაჭრილი ხარჯიხვივით გადმოევლო ხარაჩოებს. მივარდა, სულთმობრძავი შვილის წინ მუხლებზე დაეცა; არ იცოდა, რა ექნა. მკერდზე მიიკრა. ყურებში კი ისე შემზარავად უხმიანებდა: „მიშველე, მამავ! მიშველე, მამავ!“

მიშველეთ... მიშველეთ... აგუგუნდა ეკლესია, მიშველეთ... აღრიალდა, დატრიალდა ირგვლივ ყველაფერი, მთელი ქვეყანა. აღრიალდნენ კლდეები, მთები... და მერე ერთბაშად ყველაფერი მიყუჩდა. დადუმდა...

იმ დღიდან შესძულდა მურზაყანს ეკლესია, ღმერთმა არ დაინდო მის კარზე, მის სამსახურად და საღმერთებლად მისული მამაშვილი. ზვარაკივით შეიწირა უმანკო ყმაწვილი...

მას შემდეგ ძალიან დიდი დრო გავიდა. თორმეტი შვილის მამა გახდა მურზაყანი. ვეფხვებივით ვაჟები და პირმშვენიერი ქალიშვილები. მერე შვილიშვილები. შვილთაშვილები... მაგრამ „ის სულ სხვა იყოო, არწივის ნიშნიანი“.—ოხვრით იტყოდა მურზაყანის მეუღლე ნაან. მას შემდეგ ფუნჯი აღარ აუღია ხელში მურზაყანს. შესძაგდა საღებავების სუნი. მერე, ის იყო, ქუდების კერვას მიჰყო ხელი. მის ნახელავ სვანურ ქუდს ათას ქუდში გამოარჩევდა კაცი. სვანეთში მურზაყანის ქუდით იწონებდნენ თავს ვაჟკაცები თუ პირტიტველი ჭაბუკები.

უნამუსო კაცს ჩემი ქუდი თავზე დაეწვისო, იტყოდა ხშირად მურზაყანი და, მართლაც, ქუდის ბევრი მსურველი გაუბრუნებია უკან პირქუდნამუსიან ოსტატს. ბევრი ნატრულობდა მურზაყანის შეკერილ ქუდს, მაგრამ ვერ ბედავდნენ მისვლას, ვაითუ ხელცარიელი გამოგვისტუმროსო...

...მიდიოდა ფიქრებში გართული მურზაყანი და პატივისცემით, მოკრძალებით ესალმებოდნენ ხანშიშესულები თუ მორბედები, მორიდებით უთმობდნენ გზას.

ყოველ გამოსვლაზე სახეშეცვლილი ეჩვენებოდა გარემო: ეს ახალი სახლებიო, ეს სკოლებიო, ეს კულტურის სახლიო. გულწრფელად ხარობდა მოხუცი, ხოლო სადღაც გულის კუნჭულში კი სწუხდა, რომ ახლა კოშკებიან სახლებს აღარ აშენებდნენ, მაგრამ რას იზამ, დროება გამოიცვალა, კოშკები აღარავის ესაჭიროებაო. -- იმშვიდებდა თავს.

ის იყო, კულტურის სახლს გაუსწორდა მურზაყანი, რომ უცებ ელდანაკრავივით შედგა. წინ, ქუჩის თავში ორი ქალი მოდიოდა: ერთი ახალგაზრდა, ხოლო მეორე, ჭაღარაშერეული მაღალი ქალი, რომელსაც... მოხუჭა თვალები მურზაყანმა, მოხუჭა, მერე ისევ გაახილა, ხელი მოიჩრდილა, კარგად დააკვირდა... და წყეულიმც იყოს, — ქალს სვანური ქუდი ეხურა, ჰოი სირცხვილო! მისი ნახელავი, მისი შეკერილი სავაჟკაცო ქუდი! და ვითომც აქ არაფერიაო, თავის თანამგზავრ ახალგაზრდა ქალს მხიარულად უამბობდა რაღაცას.

— შეგრისხოს ღმერთმა! — მრისხანედ შეძახა გაცეცხლებულმა მოხუცმა,

არგანი ქვაფენილს დასცხო, მერე სიბრაზისაგან აცახცახებულმა ზურგი შეაქცია მისკენ მომავალ ქალებს და გულამღვრეული შინისაკენ გაეშურა. გაოცებული ქალები ერთ ხანს შედგნენ, ვერ გაეგოთ რაზე ბრაზობდა ეს უცნაური მოხუცი და ისევ საუბრით განაგრძეს თავიანთი გზა.

როგორც ყოველთვის, განრისხების ჟამს, მურზაყანი ახლაც კოშკში განმარტოვდა და რამდენიმე დღის განმავლობაში ახლოს არავინ გაუკარებია...

...დიდი სიხარული იყო მთელი ოჯახისათვის ნაბოლარა ბიჭის ქალაქიდან ჩამოსვლა. ძველებური მაჩუბის კედლები თითქოს განზე იწევდნენ. ზურაბი პირველად დიდ პაპას მიეახლებოდა, მკერდზე სამგზის აკოცებდა საყვარელ მოხუცს, მხოლოდ ამის შემდეგ დაეპატრონებოდნენ ხოლმე ოჯახის სხვა წევრები.

აი ახლაც, შედგა თუ არა შინ ფეხი, პაპის სამყოფელს მიაშურა... ჭაბუკმა მაშინვე შეამჩნია შინაურებს, რომ ხასიათზე არ იყვნენ. ყველა ფეხაკრეფით დადიოდა, ჩურჩულით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, თითქოს ოჯახში მძიმე ავადმყოფი ჰყავთო.

— რაო, ჰექა-ქუხილი თუ იყო? — ეშმაკურად შეეკითხა ზურაბი დედას.

— ჰო, შვილო, აგერ, მესამე დღეა ხმას აღარავის გვცემს, — უთხრა დედამ და გულში ჩაიკრა თავისი ბიჭი.

— ისევ შენ თუ მოიყვან ხასიათზე, თორემ... — მიესიყვარულა დიდედა.

— ეგ მე მომანდეთ! — თვალი ჩაუკრა ზურაბმა შინაურებს და კოშკს მიაშურა, სადაც პაპა იყო განმარტოებული და ვაგლახ ვერავინ ეკარებოდა.

ზურაბი თამამად მივიდა კოშკის კიბესთან, ფეხი შედგა, ერთი წუთით შეყოყმანდა, მაგრამ მერე მარდად აირბინა კიბე .

კარი რომ გაიღო, მოხუცი სწრაფად შემობრუნდა და რისხვით სავსე თვალები შეაგება შემოსულს. ის იყო, უნდა ეყვირა, რომ უც-

ეროვნული ბიბლიოთეკა



მხატვარი ი. უთურაშვილი

ბად იცნო თავისი ზურა-ბიჭი, მისი მოხუცებულობის ნუგეში და იმედი, — როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე.

პაპას პირისახეზე ნათელი დაეფინა.

— ერიჰა, საიდან სადაო. თუ ჩამოხვიდოდი, რატომ არ შემატყობინე? — ჰკითხა გახარებულმა მოხუცმა.

— როდი ვიცოდი, თუ ჩამოვიდოდი. აკადემიიდან გამომგზავნეს, ჩვენი სახელოვანი მხატვრის გამოფენა უნდა გავხსნათ, დაუ-მარებლად ჩამოვედი.

— ჰოო.

— შენც უნდა წაგიყვანო, პაპა, გამოფენაზე.

— რაო, გამოფენაზე? არსად არ წავალ, რა მინდა გამოფენაზე?

— რას ამბობ, პაპა, იცი რა გამოფენაა? „სვანეთი“ ჰქვია. ნახავ და, ვიცი, მოგეწონება.

— სვანეთი? — ეჭვით შეეკითხა პაპა.

— ჰო, ძველი და ახალი სვანეთი, ჩვენი დიდებული მთები... ერთი სიტყვით, წამოხვალ და ნახავ, — ისე მტკიცედ წარმოთქვა ჭაბუკმა ეს სიტყვები, რომ მოხუცმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

ზურაბი გახარებული ჩამოვიდა კოშკიდან და ოჯახის წევრებმაც თავისუფლად ამოისუნთქეს — ცამ გადაიკარა...

ორ დღეს არ გაჰკარებია ზურაბი პაპასა და შინაურებს. გვიან ღამით დაბრუნებულს, ჭამის თავიც აღარა ჰქონდა — ბალიშზე მისდებდა თავს თუ არა, მაშინვე ჩაეძინებოდა.

მესამე დღეს ზურაბმა დიდ პაპას ჩოხა-ახალუხი, მოვერცხლილი ქამარ-ხანჯალი და უძიროები მიართვა. მალე პაპა მურზაყანი ამაყად მიაბიჯებდა ქუჩაში. უკან, საპატიო მანძილზე ზურაბი მიჰყვებოდა და ნაცნობ მეზობლებს მხიარულად ესალმებოდა.

კულტურის სახლთან, სადაც გამოფენა მოეწყოთ, ხალხი ირეოდა. ვის არ ნახავდით აქ: თითქოს მთელი სვანეთი დაძრულიყო, ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა, მოხუცი თუ ბალღი. დიდი დარბაზის კარი ფართოდ იყო გაღებული და მნახველები ჯგუფ-ჯგუფად შედიოდნენ, გარეთ დარჩენილნი კი მოუთმენლად ელოდნენ თავიანთ რიგს, რომ „ჯადოსნური“ ნახატები ენახათ (ასე ამბობდნენ დარბაზიდან გამოსული აღტაცებული მნახველები). და დროს საუბარში კლავდნენ.

პაპა მურზაყანი და ზურაბი ეზოში შევიდნენ. დინჯად მიმავალ მოხუცს მყისვე გზა დაუთმეს იქ დამხვდურებმა. პაპა და შვილიშვილი კიბეზე ავიდნენ. კარის ზღურბლთან მოხუცი შედგა და ისე, ვით ტაძარში შესვლისას, მოწიწებით მოიხადა ქუდი...

ზურაბმა პაპა პირველ სურათთან მიიყვანა...

დიდხანს იდგა მოხუცი სურათის წინ, აკვირდებოდა, მერე მეორე სურათი მესამემ შესცვალა... ისევ იძალა მოხუცის გულის კუნჭულში მიძინებულ-მიფერფლილმა ოსტატის სულმა. აუთრთოლდა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფერებს, საღებავებსა და ფუნჯს დანატრებული მადლიანი მარჯვენა და მოხუცის თვალებმა მყისვე აწონ-დასწონა დიდი ხელოვნის ზეცით მომადლებული ნიჭი.

— ო, ღმერთო, დიდებულო! — აჩურჩულდა მოხუცი, როცა იმ ტილოსთან შეჩერდნენ, სადაც თეთნულდი აემღერებინა მხატვარს... მოხუცი მოჯადოებულივით იდგა ჯოხზე დაყრდნობილი და კვლავ იმეორებდა: ო, ღმერთო, დიდებულო და განუმეორებელო! — მის წინ, თითქოს შენობის კედლები გადახსნილიყო. და როგორც ყოველთვის, ახლაც, საღამოს, კოშკზე მდგომს პირი აღმოსავლეთით ექნა და სასოებით შესცქეროდა ზურგიდან მთვარით განათებულ თეთნულდს. და ვერ გაარჩევდით, ლოცულობდა თუ ეალერსებდა დიდებულ მთას მასავით თმადათოვლილი მოხუცი.

კარგა ხანს იდგა ასე მურზაყანი. ბურანიდან ქალის ხმამ გამოარკვია. იგი რაღაცას ეკითხებოდა ზურაბს. მოხუცმა მძიმედ მოატრიალა თავი და... გაშეშდა, მყისვე რისხვით აენთო თვალები: იქვე, მის ახლოს, ისევ ის ქალი იდგა, რომელსაც მისი ნახელავი, მამაკაცის სვანური ქუდი ეხურა. როგორ მოეშხამა უდიდესი სიამოვნება, ენით აუწერელი სიხარული, რომელიც ნახატების ნახვით განიცადა. არა, საიდან მოევლინა აქ ეს ქალი?!

— დაგლახვროს ღმერთმა, მაცდურთა მოდგმავ! — ხავილით აღმოხდა მოხუცს. სიბრაზისაგან სახე მოეღრიცა, ჯოხი ისე მაგრად ჩაბღუჯა, რომ თითებში ტკივილი იგრძნო.

ზურაბი კი ქალს მორიდებითა და პატივისცემით უამბობდა რაღაცას. მერე მანდილოსანმა მხარზე ხელი მოჰხვია ჭაბუკს და ორივენი მურზაყანისაკენ წამოვიდნენ.

— პაპა, იცნობდე ქალბატონ ელენეს, ჩემს ოსტატს და ამ სურათების შემოქმედს. — მერე მხატვარს მიუბრუნდა: — ჩემი დიდი პაპა აღტაცებულია თქვენი სურათებით. განსაკუთრებით „ღამე, მთვარე და თეთნულდი“ მოეწონა.

პაპა მურზაყანს თვალები გაუფართოვდა, ბრაზის ნატამალიც არ შერჩენია. რისხვით აღსავსე სახე საოცრად კეთილი გაუხდა, თვალებში თითქო ჭექა-ქუხილის შემდეგ ცისარტყელა აუელვარდა. წელში გასწორდა, მდაბლად დახარა თავი, მხატვრის გამოწვდილ ხელს მოწიწებით შეაგება ჯაფისაგან დაძარღვული მარჯვენა და უთხრა:

— მაპატიე, შვილო, ძალიან მეწყინა, განვრისხდი, როცა დიაცს თავზე ჩემი ნახელავი ქუდი დაგინახე, ახლა კი ვხარობ და გლოცავ: ალალი იყოს შენზე! ქალიც შენა ყოფილხარ და ქუდიც შენა გხურებია!

**ბელა ილეში**

# მარუსია

20-იან წლებში ბონჩ-ბრუევიჩის სახლი მოსკოვში, კომუნისტური მწერლების შეხვედრის მუდმივი ადგილი იყო. აქ დღე და ღამ თავს იყრიდნენ ლიტერატორები, მაგრამ იყვნენ სხვა სტუმრებიც. როცა რომელიმე ვეტერანი ბოლშევიკი მოსკოვში მოხვდებოდა, შემთხვევას ხელიდან არ უშვებდა და ესტუმრებოდა თავისი ახალგაზრდობის ლეგენდალურ თანამებრძოლს.

ბონჩ-ბრუევიჩის სახლი ნამდვილი მუზეუმი იყო. კედლებზე ეკიდა ჩარჩოებში ჩასმული ძველი დოკუმენტები, რომლებიც მეტყველებდნენ მუშათა მოძრაობის განვითარებაზე, მინის ორ დაკეტილ კარადაში ჩამწკრივებული იყო ლენინის, გორკის, პლეხანოვის, როზა ლუქსემბურგის, ბებელის, ჟორესის, დემიან-ბედნის, მარტინ-ანდერსენ ნექსეს და სხვა უკვდავ ადამიანთა წიგნები, რომლებიც ავტორებს ბონჩ-ბრუევიჩისათვის მიეძღვნათ. თვით ბონჩ-ბრუევიჩი ცოცხალი ენციკლოპედია იყო. იგი მეგობრულად, უბრალოდ და მხიარულად ყვებოდა ყოველდღიურ პრობლემებსა და თანამედროვე ლიტერატურაზე, მაგრამ, როგორც კი საქმე შეეხებოდა ისტორიულ საკითხებს და მუშათა მოძრაობას, მაშინვე მკაცრ, შეუპოვარ და დაუნდობელ მსაჯულად იქცეოდა ხოლმე. მისთვის ნაცნობი იყო ლენინის მსოფლმხედველობა და იცოდა, როგორ მიეყენებინა იგი ცხოვრების აქტუალური პრობლემებისადმი. მასთან საუბარი მარტო დიდი სიამოვნება კი არა, მეტად საჭირო სკოლაც იყო.

მისი მეუღლე სტუმრებს საუცხოო ყავითა და სენდვიჩებით უმასპინძლდებოდა, ხოლო მარუსია (შინამოსამსახურე. ის ჩემზე ხუთი წლით უფროსი იყო) შესანიშნავად ამზადებდა ჩაის; ყოველ შემთხვევაში, მე არასოდეს არ დამილევია ამაზე უკეთესი.

ერთხელ, მე და მათე ზალკა — არ მაგონდება რა საქმეზე — ბონჩ-ბრუევიჩთან მივედით. ოთახი წითელი ყვავილებით იყო სავსე. რამდენიმე თაიგულზე ეწერა: „ჩემს საყვარელ მარუსიას, ნ. კ. კრუპსკაიასაგან“; „ამხანაგ მარუსიას, კომუნისტური სალმით. კალინინი“; „მარუსიას, ლიტვინოვისაგან“...

„ რა მოხდა?“ — გაოცებით ვიკითხეთ ჩვენ.

„არაფერი, — მოჩვენებითი გულგრილობით გვიპასუხა ბონჩ-ბრუევიჩმა, — მარუსიას დაბადების დღეა“.

„ძალიან კარგი, — თქვა მათემ, — მეცა მაქვს დაბადების დღე, თანაც ყოველ წელიწადს, მაგრამ არც კრუპსკაიას, არც კალინინს და არც ლიტვინოვს არ ვახსენდები“.

„შეიძლება თქვენ მართალი იყოთ, — თქვა ბონჩ-ბრუევიჩმა, — მაგრამ იცით, მოხუცები რატომ ვართ ყურადღებიანი ერთმანეთისადმი? იმიტომ, რომ ახალგაზრდებს გულმავიწყობას ვამჩნევთ ჩვენს მიმართ“.

— „არავითარ შემთხვევაში“, — გულწრფელად წამოვიყვირე მე.

ბონჩ-ბრუევიჩმა ხელი ჩაიქნია, რაც ალბათ იმას ნიშნავდა: ბრიყვი ხარ, ჩემო ახალგაზრდავ!

მარუსიას ისტორია ბონჩ-ბრუევიჩისაგან კი არა, მისი მეუღლისაგან შევიტყვე:

— 1905 წელს, — დაიწყო მან, — მე და ჩემი მეუღლე, როგორც ლენინის თანამშრომლები, ლენინგრადში ვცხოვრობდით, მაშინდელ სანკტ-პეტერბურგში. ერთ ღამეს, 1906 წლის გაზაფხულზე, მეფის პოლიციამ ორივე დაგვაპატიმრა. ჩვენს პატარა რვა თვის გოგონასთან მხოლოდ თექვსმეტი წლის გლეხის ქალიშვილი დარჩა, რომელიც ჩვენთან ათი თვე ცხოვრობდა. იგი ახლადჩამოსული იყო სოფლიდან და პირველად მსახურობდა. ამაოდ ვემუდარებოდით პოლიციას და მოვითხოვდით ბავშვი მოეყვანათ ციხეში. პასუხი ერთხელაც არ მიგვიღია. რა ბედი ეწია ბავშვს, არ ვიცოდით.

1907 წელს ციმბირში გადაგვასახლეს. იმავე წელიწადს გამოვიქეცით და ვლადივოსტოკით ევროპაში გადავედით. მუშაობა ისევ ლენინთან განვაგრძეთ. მე და კრუპსკაიამ ყველა საშუალებას მივმართეთ, რათა რაიმე ამბავი გაგვეგო ბავშვის შესახებ, დავავალეთ ადვოკატს, მივმართეთ წითელ ჯვარს, პრესას, მაგრამ ამაოდ, ბავშვი უგზოუკვლოდ იყო დაკარგული. მე აღარ მოვყვები იმას, თუ რას ნიშნავდა ეს ჩვენთვის. 1917 წელს, როგორც იცით, ლენინთან ერთად პეტერბურგში დავბრუნდით. რამდენიმე დღის შემდეგ უკვე სმოლნში ვცხოვრობდით. დაუვიწყარი იყო ის დღეები: მუშაობა, მოპოვებული გამარჯვების შენარჩუნებისათვის ბრძოლა...

ერთ დილას ჩემთან მოვიდა 12-18 წლის გოგონასთან ხელჩაკიდებული გლეხის ქალი და მორცხვად მითხრა:

„მოგიყვანეთ პატარა ლოლა“.

სასწაულები ხდება ქვეყნად! დიახ, დიდი სასწაულები! ვერ გავბედე თვალებისა და ყურებისათვის დამეჯერებინა და ვკითხე:

„ ვინ ხართ თქვენ! და ვინ ლოლა მომიყვანეთ?“

პასუხისათვის აღარ დამიცდია, იმავე წუთს ჩავიჩოქე ჩემი შვილის წინ და გულზე მივიხუტე. შემდეგ რა მოხდა, დაწვრილებით ვერ მოგიყვებით...

ცოტა გონს რომ მოვედი, მარუსიამ მიამბო, რომ ჩვენი დაპატიმრების შემდეგ სახლი დაკეტა და პატარა ბავშვით ხელში თავის სოფლის გზას დაადგა; შორს არ ჰქონდა სასიარულო, მეორე დღეს უკვე შინ იყო. მშობლებს განუცხადა, ჩემი შვილიაო. იოლი ცხოვრება არ ჰქონდა, პირიქით, მაგრამ კრიჭაშეკრული ზრუნავდა ბავშვზე და ზრდიდა. აი, ასე, ახლა კი მე დამიბრუნა“.

— იმავე დღეს, — მცირე პაუზის შემდეგ განაგრძო ბონჩ-ბრუევიჩის ცოლმა, — კრუპსკაიას ვუამბე ეს საოცარი ისტორია. მან კი ლენინს გადასცა. ლენინმა მარუსიას ნახვა მოისურვა. მათი პირველი საუბარი საათნახევარს გაგრძელდა. შემდეგ ლენინი სულ უფრო ხშირად ეძახდა მას. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, ყველა იმ საკითხზე, რომელიც უშუალოდ სოფელს ეხებოდა, ლენინი მარუსიას ეკითხებოდა აზრს, ისე გამოვიდა, რომ მარუსია ლენინის ერთგვარი მრჩეველი გახდა გლეხთა საკითხში.

ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ ლენინის მანქანა ხშირად გაჩერდებოდა ხოლმე ჩვენი სახლის წინ, გადმოვიდოდა მძღოლი მარუსიას წასაყვანად, მარუსია დადებდა დიდ კოვზს, რომლითაც იგი მუშაობდა, ანდა



ვ. ა. სეროვი

ხოდოკები ლენინთან

გადადებდა წიგნს, რომლითაც სწავლობდა, დაიბანდა ხელებს, ჩაიცვამდა ბეწვის პალტოს ან საწვიმარს და ჩავიდოდა ქვევით ლენინთან. პირდაპირ მანქანაში იწყებოდა სერიოზულ საკითხზე მსჯელობა. ასეც ხდებოდა: ლენინი სთხოვდა მარუსიას წასულიყო სოფელში რამდენიმე დღით და დაბრუნების შემდეგ პირდაპირ და შეულამაზებლად მოეთხრო, თუ როგორ ცხოვრობდნენ გლეხები, როგორ მუშაობდნენ, რას ფიქრობდნენ და რას გრძნობდნენ...

მარუსიას გმირობა მხოლოდ იმას გაუკვირდება, ვინც არ იცნობს უბრალო რუს ქალს და არ იცის, რა ძალა შესწევს მას. და ის, რომ ლენინმა მარუსია თავის თანამშრომლად გაიხადა, გაუკვირდება იმას, ვისაც არ შესწევს უნარი, განსაზღვროს ლენინის პოლიტიკური სიბრძნე და ადამიანური სიდიადე.

თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ლენინი..."

ბონჩ-ბრუევიჩის პატარა, ჰალარათმიან, ფოლადისნებისყოფიან ცხოვრების მეგზურს სიტყვა გაუწყდა, ცრემლები წასკდა და ოთახიდან გავარდა.

1957 წლის ზაფხულში, მოსკოვში, გმირთა საფლავზე ვეძებდი ერთი ძველი თანამებრძოლი მეგობრის საფლავს. იქ მარუსიას საფლავს წავაწყდი.

იგი საუცხოო, ალისფერი ყვავილებით იყო მოფენილი.

გერმანულიდან თარგმნა
**მედეა კოდუამ**



# ერთი დღე ფაბრიკაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეპორტაჟი

წარამარა იღება და იხურება რკინის ვეება ჭიშკარი. განუწყვეტლივ შემოდიან და გადიან მანქანები.

ივანოვოდან მათ მოაქვთ ბამბა, იაპონური ტყავისშემცვლელი ქსოვილი, კალინინიდან — ლავსანი, ნოვოფომინსკიდან — ბალონის ქსოვილი, გორიდან და ბაქოდან — სასარჩულე მასალა, მოაქვთ თბილისური შალი და აბრეშუმი, ივანოვოს, მოსკოვისა და ერევნის კაპრონი და მაროკენი; სამაგიეროდ ჩვენს რესპუბლიკასა და მის საზღვრებს გარეთ გადის ქუთაისური მარკის საქონელი: ქალისა და მამაკაცის ბალონისა თუ კრეპ-მაროკენის ლაბადები, ლავსანისა და ტყავისშემცვლელი ქსოვილის პალტოები, შალისა და ბამბეულის შარვლები, ბალონის ლაბადები ბავშვებისათვის...

ქუთაისის კიროვის სახელობის მეოთხე სამკერვალო ფაბრიკამ კარგახანია დაიმკვიდრა კომუნისტური შრომის საწარმოს სახელი. კომუნისტური შრომის ოთხ საამქროში თავდადებით იღწვიან ადამიანები, თავს არ იზოგავენ კომუნისტური შრომის ექვსი ცვლა და თვრამეტი ბრიგადა, 1485 კომუნისტური შრომის დამკვრელი...

„...ხშირად გამიგონია თქვენი ნაწარმის ქება მაღალი ხარისხისა თუ გემოვნების გამო. ისინი პრაქტიკულია და თანამედროვე მოდას პასუხობენ. ამაში არა ერთხელ დავრწმუნდი", — წერს თბილისელი არჩილ სვანიძე ფაბრიკის დირექტორს ბესიკ ტოფაძეს.

აი, ერთი ბარათიც:

„...ერთ მანდილოსანს თქვენი ფაბრიკის ლაბადა ეცვა. მთელი ჩვენი სახელოსნო აღფრთოვანებული დარჩა. აქ ასეთს ვერ ნახავთ. თუ შეიძლება, გაგვაგებინეთ, როგორ შევიძინოთ იგი?" — კითხულობს კრასნოვოდსკელი ვ. მიშჩენკო.

„ამხანაგო მიშჩენკო, როგორც გამონაკლისს, გიგზავნით თქვენი ზომის ლაბადას. ამჟამად შავი ფერისა არა გვაქვს და ამის გამო ყავისფერს გთავაზობთ..."

ასეთი „გამონაკლისი" კი გახშირდა ფაბრიკის ცხოვრებაში.

ყოველდღე მოდის დეპეშები და წერილები თბილისიდან და მოსკოვიდან, რუსთავიდან და დონეცკიდან, კრასნოვოდსკიდან და პავლოდარიდან... ფაბრიკის კოლექტივს ულოცავენ სამახსოვრო დროშით დაჯილდოებას. მომხმარებლები თავიანთ ბარათებში რჩევას აძლევენ ქუთაისელ მკერავებს, ზოგიერთი კი მოდელსაც სთავაზობს.

ფაბრიკაში სამას ოცდარვა კომუნისტია. აქედან ორას ორმოცდათვრამეტი ქალია. ცამეტი ქალი საქალაქო საბჭოს დეპუტატია. მრავალი ქალია რაციონალიზატორული წინადადებების ავტორი. წარმოებაში დაინერგა ოცდათორმეტი წინადადება, რამაც გეგმით გათვალისწინებული 25 ათასი მანეთის ნაცვლად, 78 ათასი მანეთის ეკონომია მისცა ფაბრიკას, დაიზოგა 128 ათასი მეტრი ქსოვილი. ამაში კი დიდი წვლილი მიუძღვით ფაბრიკის რაციონალიზატორებს — გულიკო ხაჭაპურიძეს, ევგენია ამირანაშვილს, ნორა და იზოლდა რობაქიძეებს, ვალოდია კვერნაძეს, ელგუჯა აგლაძეს, ნორა კვირიკაშვილს, ვახტანგ ლელაშვილს... ამ დიდ და სახელოვან კოლექტივს კარგი პარტიული მდივანი ჰყავს — მერი ქანდარია. ამ დილითაც ყველას ჩამოუარა მერიმ, ვის გასამხნევებელი სიტყვა უთხრა, ვის გაეხუმრა...

— მოსკოვში, ბალონის ლაბადებს ხვდა დიდი მოწონება! — შენიშნა მარგარიტ მუმლაძემ.

მართლაც და ფაბრიკის წარმომადგენლები კმაყოფილი დაბრუნდნენ ბაზრობიდან. ქუთაისელ მკერავებსა და მოდელიორებს გემოვნებასა და მარჯვენას უქებდნენ მოსკოველები.

— თქვენი ნახელავი ვის არ მოეწონებოდა — უთხრა მერიმ გამოცდილ მკერავს და იქვე მჯდომ ქალიშვილს გადახედა... — აკი, ვერ შევძლებო, თამრიკო, სწორად დაგვირისტებას?.. ახლა რას იტყვი?

თამარ შათაშვილს არაფერი უთქვამს, გაიღიმა. მერე შავგვრემან გოგონას მიუბრუნდა პარტიული ორგანიზაციის მდივანი:

— შენმა რეკომენდაციამ გაჭრა, იზოლდა.

— გაათავისუფლეს? — სიხარული ჩაუდგა თვალებში იზოლდას.

...ხეცურიანების ოჯახში სიხარული მიიტანა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა იზოლდა რობაქიძემ.

ორი შვილის მამა, ოჯახის მარჩენალი როგორღაც გზას აცდა...

მშობლებმა იზოლდას მიმართეს დახმარებისათვის. ყველაფერს დაკვირვებული თვალით გადახედა იზოლდამ, აწონ-დაწონა საქმე და თავდებად დაუდგა დამნაშავეს...

თავმდაბალი, ჭკვიანი, მოხდენილი გარეგნობის ზესტაფონელი ქალიშვილი ფაბრიკაში გულით უყვართ. იზოლდამ თავისი ბედი აქვე, ფაბრიკაში ოთარ კუპუხიძეს დაუკავშირა. იზოლდასა და ოთარს მალე ახალი საზრუნავი გაუჩნდათ — დაიბადა პატარა კახა...

— პირველი მეზობლები მოარიგე? — შეეკითხა მერი ღიმილით.

— შერიგდნენ, — ვერც იზოლდა იკავებს სიცილს. ცოტა ხნის შემდეგ კი ალმასკომისაკენ მიიჩქარის მესხიშვილის ქუჩის კეთილმოწყობის თაობაზე.

• • •

წუნმდებელმა ლაბადა გვერდზე გადადო, სათვალე მოიხსნა და მანქანების რიგს გაუყვა.

საკერავზე დახრილი ქალი იჭყარობდა, რაღაცას ნერვიულობდა. ძაფი ხშირად უწყდებოდა, აგება უჭირდა, ხელები უკანკალებდა.

— კლარა!.. მოხდა რამე? — იკითხა გამხდარმა, ერთი შეხედვით კუშტმა ნინო ცორცოლიანმა და თვალი თვალში გაუყარა კლარა კვანტალიანს. მან თავი ველარ შეიკავა და დაგუბებულ დარდს გზა მისცა...

— ადექი, ასე ვერ იმუშავებ, წამოდი.

ბრიგადის ოსტატს, ლენინის ორდენოსან



მერი ქანდარია



საამქროში



ნათელა ჯავახაძე

ნინო ბენიძეს რაღაც ანიშნა წუნმდებელმა. სარეზერვო ბრიგადიდან რუსიკო ვაშაყმაძემ შესცვალა კლარა კვანტალიანი. ლუბა ჯაფარიძე კი ნინო ყორყოლიანის ლაბადებს მიუბრუნდა.

ეზოში გამოსულთ ცივი ნიავი შეეგება.

— რატომ სცემე? — სიჩუმე ისევ ნინომ დაარღვია.

— არ ვიცი... თავი ვერ შევიკავე... ამოცანას იყვანდა. დაიჟინა, გინდა თუ არა, წიგნში პასუხი სწორად არ სწერიაო და... გავარტყი...

— უნდა შეიკავო ხოლმე თავი... დამშვიდებული ცხოვრება არც ჩვენ გვქონია. ნერვებს რომ ავყოლოდით და ყველაფერზე ხელი ჩაგვექნია... ლუბა ჯაფარიძეს — ჩვენს წუნმდებელს ასე რომ შენატრიან და ჰგონიათ უდარდელი ქალია და გულზე არაფერს იკარებსო, შენი აზრით, ია-ვარდებით ჰქონდა მოფენილი გზა?..

ერთი კვირის გათხოვილი იყო ლუბა, ომი რომ დაიწყო. მისი ქმარი — შოთა გოგოციძე, საავიაციო ტექნიკუმში სწავლობდა... ერთმანეთს წესიერად არც გამოთხოვებიან, პირდაპირ ფრონტზე წავიდა... ერთხელ მახაჩკალიდან ქმრის წერილი მიიღო: შენ იცი და შენმა ქალობამ, გულს დარდი არ გააკარო, იმუშავე, შრომაა უებარი წამალი მწუხარებისო, მარტო აქ არ ვიცავთო ჩვენი ქვეყნის მიწას... ეგ იყო და ეგ. მას შემდეგ არაფერი გაუგია. უცდიდა, მთელი ახალგაზრდობა უცდიდა. შვილიც არ დარჩენია...

გათენებამდე თავაუღებლივ ვშრომობდით. შენიღბულ ფანჯრებში „ნემსის წვერი“ სინათლე არ გადიოდა. ცხელოდა. ჩაბნელებულ საამქროებში სანთელი აქა-იქ ბჟუტავდა. ვკერავდით ჯარისკაცის ფარაჯებს და ვერ ვიგებდით, განთიადისას ახალი ცვლა როგორ მოდიოდა.

ლუბა ქმრის გზას გაჰყურებდა. არც მისი ორი მაზლი გამოჩენილა.

ერთხელ ჩვეულებრივზე უფრო დადარდიანებული მოვიდა. ახალგაზრდობას ნუ გაიმწარებო, შვილო, — ეთქვა დედამთილს და ლუბას ეს ვერ აეტანა. ახლაც უვლის შოთას დავრდომილ დედას და ისევ მოელის ქმარს...

ვერა ზვიადაძესაც ომში დაეღუპა ქმარი. ძუძუმწოვარი დარჩა ბავშვი. მაინც შრომობდა. ნაკლები ვაჟკაცი გაზარდა მარტოხელა ქალმა? ჰკითხე, აბა, ვერას თუ არის ვინმე მასზე ბედნიერი. ისეთი შვილიშვილი ჰყავს, ისეთი, რომ... ეჰ, ჩემო კლარა, დარდსა და ნაღველს რომ ავყოლოდით...

მდუმარედ მიუყვებოდნენ ვაზის ტალავერს. მეტი არაფერი უთქვამს ნინოს. არც იმაზე დაუძრავს სიტყვა, თუ ისინი, ფაბრიკის პირველი მკერავები, საკუთარი ხელით როგორ ურევდნენ კირს, ეზიდებოდნენ აგურსა და ქვიშას, დააბიჯებდნენ ხარაჩოებზე და სახურავს ხურავდნენ შენობას. არც ის დასცდენია, რომ თვითონ, თოთხმეტი წლის გოგონა, საკერავ მანქანას ვერ წვდებოდა, სკამის უქონლობის გამო „ჯორკოზე“ იჯდა და გვიანობამდე მუშაობდა. ფაბრიკის პირველი კომკავშირელები: ნინო ყორყოლიანი, ვერა ზვიადაძე, ლუბა ჯაფარიძე, მარგარიტა ჯავახაძე, ანა ზაქარაშვილი და სხვები — კვირაობით რიონჰესის მშენებლობაზე იყვნენ, გაჰყავდათ სარწყავი არხები... ხშირად კი ქალაქის ხარაჩოებზე ადიოდნენ.

ისინი მაშინ შევიდნენ კომუნისტური პარტიის რიგებში... მერე ქუთაისელმა სტახანოველებმა ქვეყანა აალაპარაკეს.

...თვალწინ ედგა მერი ქანდარიას მათი ბედნიერი სახეები. კლარა კვანტალიანს, ჟენია ჰიჰინაძეს, თინა მეგრელიშვილს, ნადია გერკენაძეს, ელენე ბაქრაძეს, თამარ ჯანგავაძეს, თინა ნემსიწვერიძეს, ვენერა ლაღიძესა და სხვებს მთელი ფაბრიკა ულოცავდა ახალ ფუძეს. თორმეტი ოჯახი შეხვდა 1968 წელს ახალ ბინაში.

კაბინეტში მთავარი ინჟინერი სერაპიონ უგულავა შემოვიდა და საარქივო ქაღალდების შეკვრა შემოიტანა.

— ხომ გითხარით, თვალისჩინივით ვუფრთხილდები-მეთქი?! — თქვა მან და სკამზე დაეშვა.

ფაბრიკის შენობის საძირკველში საკუთარი ხელით ჩააწყო აგურები სერაპიონმა. მან გაიხსენა სამკერვალო სახელოსნოს გახსნა ქუთაისში...

1929 წელს ცამეტ მუშას ითვლიდა სახელოსნო. არ ჰქონდათ საჭირო ინვენტარი. სახლიდან მოჰქონდათ საკერავი მანქანები, სკამები... ბოლავდნენ ქურები და მასზე შემოდგმული ნაკვერჩხლის მილიანი უთოები..

იმ ნაფუძარზე აღმოცენებულმა და და-



იზოლდა რობაქიძე



რაციონალიზატორები — ჟ. ამირანაშვილი, მ. ხაჭაპურიძე, ნ. კვირიკაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლუბა ჯაფარიძე

ვაქკაცებულმა ფაბრიკამ ოცი მილიონი მანეთის ნაცვლად შარშან ოცდასამი მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვა. ზეგეგმური მოგებიდან ააშენეს მუშა-მოსამსახურეთათვის საცხოვრებელი სახლები, ბაგა-ბაღი, ბავშვთა სანატორიუმი ლესელიძეში, პროფტექნიკური სკოლა ქუთაისში. ფაბრიკაში დაინერგა აგრეგატულ-სექციური მეთოდი, რის შედეგადაც ოც პროცენტამდე გაიზარდა შრომის ნაყოფიერება...

სათუთად ინახავს სერაპიონი უკვე გაყვითლებულ, გაცრეცილ ფოტოსურათებს, რომლებიც მაშინდელ გაჭირვებაზე და ჩვენი ხალხის გმირულ საქმეებზე მოგვითხრობენ. ქართველი სტახანოველები: ქანა გვიშიანი, ლენა მორჩაძე, მარო კუხიანიძე იღიმებიან სურათებიდან... ფაბრიკის მუზეუმისათვის აგროვებენ ამ ძვირფას ექსპონატებს. არც დეპეშების მოსალოცი ბარათების და წერილების შეკრება დავიწყებია თენგიზ მარჯანიშვილს.

მემატიანე გრიშა შათირიშვილი ყველა ფაქტს აღნუსხავს სიზუსტით.

მუზეუმში ინახება ჟამთა სვლისაგან ჩაქანგებული ნაკვერჩხლის უთოები. აქ წარმოდგენილი მდიდარი მასალები ფაბრიკის წარსულზე, აწმყოზე და მომავალზე ყვებიან.

...საექსპერიმენტო საამქროში ყურადღებით სინჯავენ იაპონური ტყავისშემცვლელი ქსოვილის პალტოებსა და ნახევარპალტოებს, ქურთუკებს... ქალის სარაფნებს... რვა ახალი მოდელით გაახარებენ ქუთაისელი მკერავები წელს ჩვენს მომხმარებლებს...

ჭიშკარში გამოჩენილ ფოსტალიონს ადრიან დილით მოაქვს დეპეშები და წერილები.

ასე იწყება ფაბრიკაში ყოველი დღე...

**ნათელა ქიმერიძე,**
ქუთაისი.

# ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის მისალმება საბჭოთა ქალებს*

ძვირფასო საბჭოთა მეგობრებო!

ჩვენ, პრაღაში ჩატარებულ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის საბჭოს სხდომის მონაწილენი, გილოცავთ თქვენ მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის ისტორიული მოვლენის — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს.

უკვე ნახევარი საუკუნეა, რაც კაფავთ გზას საზოგადოებისაკენ, რომლის სამართლიანობამ, ჰუმანიზმმა, სილამაზემ და ნათელმა პერსპექტივებმა უზრუნველყვეს ჩაგრულ ქალთა საუკუნეობრივი იმედის განხორციელება ადამიანური ღირსებით სავსე თავისუფალ და ბედნიერ ცხოვრებაზე, თავისუფლებასა და თანასწორობაზე.

ჩვენ ქედს ვიხრით მთელი საბჭოთა ხალხის წინაშე, მამაკაცებისა და ქალების წინაშე, რადგან მათ სიდიადეს საფუძვლად უდევს რეალური მიღწევები, ეს თქვენ გაზვლეთ ყველაზე ძნელი და ყველაზე ლამაზი გზა, გზა, რომელიც გვასწავლის, როგორ უნდა ბრძოლა და გამარჯვება.

გამოვთქვამთ ჩვენს პატივისცემას თქვენდამი, დიდებული ტრადიციების დამცველებისა და გამგრძელებლებისადმი. საბჭოთა ქალებმა — მუშებმა და გლეხებმა, მასწავლებლებმა და ექიმებმა, სწავლულებმა და საზოგადო მოღვაწეებმა, მილიონობით უბრალო ქალმა და უცნობმა დედებმა შეიტანეთ დიდი წვლილი წინათ მოპოვებულ და ახლანდელ გამარჯვებებში, თქვენ გეკუთვნით უპირველესი როლი მომავალი ბედნიერი საზოგადოების წარმატებებში. დიდი ოქტომბრის ამოცანათა განხორციელება განუყოფლად არის დაკავშირებული თქვენს გამუდმებულ, ყოველდღიურ მოღვაწეობასთან.

მოხიბლული ვართ თქვენი ზრუნვით, და როცა საჭიროა, თქვენი მზადყოფნით გაიღოთ მსხვერპლი სამშობლოს კეთილდღეობისათვის, მთელი კაცობრიობის კეთილდღეობისათვის, აღგვაფრთოვანებს თქვენი ღონისძიებები მშვიდობის დაცვისათვის. კაცობრიობის ბედნიერების ამ აუცილებელი პირობისათვის. თქვენ დანერგეთ საერთაშორისო სოლიდარობის იდეა, და ყოველთვის მისი ერთგული რჩებით, როგორც ამას ახლაც ცხადყოფს თქვენი დახმარება ვიეტნამელი ქალებისადმი. თქვენ ყოველთვის იქ ხართ, სადაც საჭიროა ბრძოლა ქალთა უფლებებისათვის, ბავშვთა ბედნიერებისათვის სასიხარულო ცხოვრებისათვის. ამ კეთილშობილურმა პრინციპებმა და მიზნებმა მოგიყვანათ თქვენ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულ ფედერაციაში, ორგანიზაციაში, რომელიც აერთიანებს მთელი მსოფლიოს ქალებს თანასწორუფლებიანობისათვის, ბავშვთა ბედნიერებისათვის საბრძოლველად. ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის დაარსების დღიდან ინაწილებთ მის სიძნელეებსა და საზრუნავს. ჩვენი მიზნების განხორციელებაში მნიშვნელოვნად გვეხმარება თქვენი გამუდმებული აქტივობა, თქვენი მდიდარი გამოცდილება და გასაოცარი მიღწევები.

ბედნიერნი და ამაყნი ვართ, რომ თქვენთან ერთად ვმუშაობთ. გწამდეთ, მსოფლიოს ქალთა პატივისცემა და სიყვარული განუყრელად თქვენთანაა.

დაე, იმრავლოს თქვენმა წარმატებებმა ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის, მსოფლიოში მშვიდობის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში.

**ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია.**

---

X. მისალმება მიღებულია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის ზეიმის დღეებში. რედაქციამ საჭიროდ ჩასთვალა მისი გამოქვეყნება ჩვენი ჟურნალის ამ ნომერში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჯერ შრომობს და ცხოვრობს...

მას ახლახან შეუსრულდა 70 წელი. ამას ქართული პრესა გულთბილად გამოეხმაურა. გამოეხმაურა სამართლიანად: ვაჟა-ფშაველას, საბა-სულხანის, აკაკი წერეთლის, ალ. ყაზბეგის და ეგნატე ნინოშვილის კაზმულ სიტყვასთან შებმა, შებმა კეთილშობილური მიზნით: ქართულ საუნჯესთან დაემეგობრებია რუსი მკითხველი, გაეზიარებია მისთვის თავისი საამაყო მშობლიური მწერლობის ნიმუშები. ამავე მკითხველთან მან მიიტანა ჩვენი მწერლობის დიდი ოსტატის — კონსტანტინე გამსახურდიას პოეტური რომანი: „დიდოსტატის მარჯვენა“. დღეს ჩვენი ვრცელი ქვეყნის ერთი კუთხეც არ მოიპოვება, სადაც ქართველი მკითხველივით არ უყვარდეთ კონსტანტინე არსაკიძის ლამაზი და ტრაგიკული პიროვნება. ეს რომანი რუსულ ენაზე მრავალგზის გამოიცა და ეს მთარგმნელის გამარჯვებაც იყო. გამარჯვება კი იოლად არ მოსულა: მთელი მისი ლიტერატურული ცხოვრების წლები იყო ძიება იმ გასაღებისა, რომელიც ქართულ სიტყვას სხვა ერის კულტურაში ლაღად, თავისუფლად და თავაწეულად შეიყვანდა. ასეთი ძიების დროს მთარგმნელი ბევრს თხოვდა თავისთავს. თუმცა, პრინციპი თავიდანვე ჩამოკვეთილი იყო: თარგმნისას ყოველი ლიტერატურული ნაწარმოები უნდა გახდეს რეალი იმ ენისა, რომელზეც ითარგმნება იგი. მკითხველი უნდა აღიქვამდეს მას, არა როგორც თარგმანს, არამედ, იმ ენით შექმნილს, იმ ენის საკუთრებას. (ამ მიზნით შესთავაზა ფატი თვალთვაძემ, ყაზბეგის ნაწარმოებების თარგმნისას, თანაავტორობა რუსული მხატვრული სიტყვის ოსტატს — ალექსანდრე სერგეის ძე კოჩეტკოვს). ამავე დროს, მთარგმნელმა არ უნდა დაუკარგოს ნაწარმოებს მშობლიური კოლორიტი. კომპეტენტური მკითხველი ამბობს, რომ თვალთვაძემ შესძლო ამის მიღწევა, შესძლო დიდი გემოვნებისა და შრომის წყალობით. შესძლო იმითაც, რომ იგი თანაბრად ეთაყვანება ქართველი და რუსი ხალხის ენას, ლიტერატურას, კულტურას. დამახასიათებელია ერთი გარემოებაც. მთარგმნელი არა მარტო თავისთავისადმია მომთხოვნი, არამედ მეტად მომთხოვნია რედაქტორების მიმართაც. საუკეთესო რედაქტორებთან მუშაობა მას ახალი შემოქმედებითი რწმენითა და ძალით ავსებს. ჩვენს შეკითხვაზე, თუ რომელ რედაქტორთან მუშაობისას ივსებოდა ასეთი ძალით. მან ერთერთი საუკეთესო რუსი ინტელიგენტი და ენის ბრწყინვალე მფლობელი, აწ განსვენებული ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ტიხონოვი დაასახელა.

ფატი თვალთვაძე ადრეც მინახავს. მინახავს ერთი-ორჯერ, როდესაც იგი მოსკოვიდან მშობლიურ თბილისს ესტუმრებოდა ხოლმე. მასზედ კი ბევრი რამ გამეგონა. და ახლა, როცა ერთმანეთის პირისპირ ვსხედვართ, ერთხანს უხერხული დუმილი გვეუფლება. ამ ჰკვიანთვალებიანმა ქალმა წინასწარ იცის ჩვენი სტუმრობის მიზანი.

ფანჯრიდან მოჩანს ისანის ქარიანი ცა. ქარი ერეკება ღრუბლებს აღმოსავლეთისაკენ.

— მიყვარს ქარი. — ამბობს ფატი. მერე სარკმლისაკენ მიწევს სკამს, რადგან სჯერა. მეც მასავით მიყვარს მოღუშული პეიზაჟი.

მშობლიური ცა, მზე, ქარი და წვიმა... მათ ხომ კვლავ თავისაკენ დაუძახეს ამ საინტერესო ქალს, დაუძახეს რუსეთში ხანგრძლივი ცხოვრების შემდეგ. მე წარმოვიდგინე, როგორ ავიღე ხელთ ამ ცხოვრების მატიანე: პატარა გოგონამ ციმციმა თვალები შემომანათა. მან მითხრა, რომ ქუთაისელი რკინიგზელი მუშის — ანტონ თვალთვაძის ოჯახს ძალიან უჭირს. მაგრამ გოგონა მაინც მიაბარეს ყაუხჩიშვილის კერძო გიმნაზიაში. საუკეთესო პედაგოგები ასწავლიან, მაგრამ ბავშვი მაინც გრძნობს კლასობრივ „განსხვავებას“. იგი გაკვეთილების დამთავრების შემდეგ რკინიგზის ლიანდაგს მიჰყვება სახლისაკენ. სტანდარტულ, ქვის სახლში ერთი პატარა, უხალისო ოთახი უკავია ოჯახს. „ნუთუ, ამ ქვის კუბოში უნდა ამომხდეს სული?“ — სევდით კითხულობს დედა. მერე ბუხართან მოისვამს ბავშვებს და გატაცებით უკითხავს ყაზბეგის მოთხრობებს. პატარა ფატის ყაზბეგთან ერთად იზიდავს რუსი მწერლობის საუკეთესო წარმომადგენლები. და როდესაც მოვიდა შემაძრწუნებელი ცნობა: — „გარდაიცვალა ლევ ტოლსტოი“ — 13 წლის გოგონა ცხარე ცრემლით ატირდა... შემდეგ მოსკოვის ქალთა უმაღლესი კურსები... სწავლა... მუშაობა ბნელ სარდაფში, და კვლავ ქუთაისი, საბჭოთა თბილისი. მუშაობა პროფსაბჭოში, მუშაობა თავდადებულად, ახლის შენების დიადი რწმენით. და ხისქოშებიანი ქალიშვილი ჯილდოდ ტყავის ფეხსაცმელს იღებს. მას

თითქოს რცხვენია ამ ფეხსაცმელების ტარების, რადგან თბილისის ქუჩებში ჯერ კიდევ დადიან ნახევრადშიშვლები, ნახევრადმშივრები. მაგრამ ისინი უკვე აწყობენ პირველ აგურებს საბჭოთა საქართველოს გრანდიოზული მშენებლობისათვის.

სალამოობით, მუშფაკის მსმენელი ქალიშვილი მაგიდაზე შლის წიგნებს, რვეულებს. ოთახში, პირდაპირ ფანჯრიდან გადმოდის მისი ნათესავი, ახალგაზრდა პოეტი, შემდეგში ცნობილი კინორეჟისორი ნიკოლოზ შენგელაია. იგი გატაცებით კითხულობს ლექსებს, თავისსა, სხვისას... ასევე გატაცებით ლაპარაკობს ტიციან ტაბიძეზე, სიმონ ჩიქოვანზე, გიორგი ლეონიძეზე... წინ ცხოვრებაა, მისი მძლავრი მაჯისცემა. ახალი ქვეყნის დედაქალაქი კვლავ თავისკენ მოუხმობს ფატის. და აი, იგი მოსკოვშია, სახალხო კომისართა საბჭოში, სადაც 10 წლის განმავლობაში მთარგმნელად მუშაობს. საქართველოდან ჩასულ ადამიანებს საკუთარ ოჯახად ეგულებათ ფატის ოჯახი. ისინი მასპინძელთან ერთად დადიან მოსკოვის ქუჩებში, მუზეუმებში, ლიტერატურულ სალამოებზე... გიორგი ლეონიძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი საკუთარ წიგნებზე გულთბილ წარწერებს უკეთებენ ფატის. მის ოთახს ხშირად ათბობს ქართული კინოს მშვენების — ნატო ვაჩნაძის თვალების ელვარება. ქართული ლექსი ატყვევებს რუს მეგობრებსაც და ფატიც ამ ლექსის ბწკარედებზე მთელი გატაცებით მუშაობს. ამ ბწკარედებმა დააახლოვა იგი რუსული სიტყვის არაერთ ბრწყინვალე ოსტატთან. საერთოდ გატაცება, შემოქმედებითი გატაცება მისი დამახასიათებელი თვისებაა. ამ გატაცებითა და შემოქმედებით მუშაობდა ლენინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში რუსთაველისადმი მიძღვნილ გამოფენაზე, აკეთებდა გამოფენის მოძრავ ასლებს კულტურის სახლებისათვის; ჟურნალ „ნოვიმირ“-ის სპეციალური ნომრისათვის ამზადებდა რუსთაველისადმი მიძღვნილ მასალებს (1937 წ.), მუშაობდა ამავე ჟურნალის ტექნიკურ რედაქტორად, კონსულტანტად ლენინის ბიბლიოთეკის ქართულ ფონდში...

და უკვე, სრულიად ბუნებრივი იყო, რომ მის ოთახში გაისმა ტელეფონის ზარი. კონსტანტინე გამსახურდია ანდობდა ფატის თავის „დიდოსტატს“. ამ წიგნით დაიწყო მთარგმნელი ქალის ლიტერატურული ნათლობა. ნათლიის ფეხი მეტად სვებედნიერი იყო: დღეს ქართული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელთა ნაწარმოებების საკმაო ნაწილი ფატი თვალთვაძისეული თარგმნით ესიტყვება რუს მკითხველს; გრიგოლ აბაშიძის „ლაშარელა“, ოტია იოსელიანის „ვარსკვლავთცვენა“, რევაზ ჯაფარიძის „ხევის პატარძალი“, გიორგი შატბერაშვილის, თენგიზ გოგოლაძის, პარმენ ლორიას, როსტომ ბეჟანიშვილის და სხვათა ნაწარმოებები ახალ ცხოვრებას იწყებენ ახალ მკითხველთა შორის.

ფატის სისხლისმიერად უყვარს ახალგაზრდობა. უყვარს თავისი კეთილშობილი საქმე და ახალგაზრდობასაც ამ თვალით ზომავს და წონის. ამ მიზნით წავიდა იგი მოსკოვის გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში, სადაც 3 წლის განმავლობაში მთარგმნელთა ფაკულტეტის ქართულ ჯგუფში სემინარებს ატარებდა. „ქალბატონო ფატი, — უთხრა ერთხელ მას პოეტმა რევაზ მარგიანმა. — თქვენ იქ თითქმის ყველა ახალგაზრდას თქვენი მადლის ნაწილი მიეცით“. და ფატი თვალთვაძეს დაამახსოვრდა ეს ფრაზა, როგორც მადლობა, როგორც მისი ცხოვრების გამართლება. ფატი თვალთვაძისათვის ამ მადლობის გამომხატველი იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი, რომელიც ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის დღეებთან დაკავშირებით გადაეცა მას.

ახლა ოთახში სარკმლიდან ღამეული ცა იყურება. ქარი ბოგინობს გარეთ. ეს ქარი აგონებს ომისდროინდელი მოსკოვის ქუჩებს, ჩამქრალ სარკმლებს, ფრონტისპირა გუგუნს, ჰოსპიტლებს, სადაც ფატი თვალთვაძეს მედიცინის სამსახურის უმცროსი სერჟანტი ერქვა. უმცროსი სერჟანტი უხვევდა ჭრილობებს დაჭრილ ვაჟკაცებს სამხედრო გამომცემლობის დავალებით ჯარისკაცებისათვის ადგენდა ლიტერატურულ კრებულებს, აგიტატორთა ბლოკნოტებს. მონაწილეობდა ფრონტელებისათვის საჩუქრების მომზადებაში. ეს იყო შრომის დაძაბული წლები. იმ წლების მოგონებით ამაყობს და ინახავს იგი მთავრობის ჯილდოს. მედალს: „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“.

ეს ქარი აგონებს დაკარგულ მეგობრებს, დაფერფლილ ნატოს, დაუვიწყარ ტიციანს, მათ სიტყვებს, მათ გულებს, მათ ლექსებს... მას კიდევ ერთხელ აგონდება, თუ როგორ შეუარა ერთხელ შესანიშნავმა პოეტმა და ჰუმანისტმა ბორის პასტერნაკმა მასა და ნინო ტაბიძეს და თხოვა თან გაჰყოლოდნენ პერედელკინოში, აგარაკზე. ჩრდილოური ზაფხულის ლბილი დღე იდგა. მანქანა მიჰქროდა მოჟაისკის შოსეზე, მიჰქროდნენ ხშირი, მწვანე ბალახით შემოსილი ბორცვიანი ველები, ახოები. პოეტი სდუმდა. მოავლო თვალი მიდამოს და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა: „აი, ეს ჩემი ცაა, ჩემი მიწაა, მე მათ გარეშე ვერსად ვერ გავძლებ...“

* * *

ფატი თვალთვაძე კვლავ მუშაობს გატაცებით, ინტენსიურად. საქართველოში გადმოსვლის შემდეგ მან თარგმნა ე. ახვლედიანისა და გ. შენგელაიას სცენარი: „ფიროსმანი“ (თარგმნა მოსკოვის ექსპერიმენტალური კინოსტუდიის დავალებით), ახლახან გადასცა გამომცემლობა „ლიტერატურასა და ხელოვნებას“ საბა-სულხანის „მოგზაურობა ევროპაში“, ამთავრებს ახალგაზრდა პროზაიკოსის — გურამ გეგეშიძის რომანის „ცოდვილის“ თარგმანს.

ასე ცხოვრობს და შრომობს ფატი თვალთვაძე.

**ნაზი კილასონია**

# ახალი ლექსები

**მორის ფოცხიშვილი**

## შ ი შ ი

მთვარე თითქოს ბავშვია და მე შინიდან
გარეთ მიხმობს სათამაშო მტრედად.
დედას მაინც რომ არაფრის ეშინია,
და... ყველაფრის ეშინია დედას.

„ცა დედაა, მზე შვილია!“ —
ზღაპარს თხზავს და იღიმება ბედად,
დედას მაინც რომ არაფრის ეშინია,
და... ყველაფრის ეშინია დედას.

მაგრამ ქარი, ქარი თითქოს შეშლილია, —
კარს გვინგრევს და საკვამურში ჩნდება...
დედას მაინც რომ არაფრის ეშინია
და... ყველაფრის ეშინია დედას.

**ხუტა გაგუა**

## ს უ ლ ი

როგორც გარედან ვაზი ან სურო,
ვაზი ან სურო ეხვევა თხმელას,
შიგნიდან ისე მეხვევი, სულო,
და იფოთლები და ჩუმად ვღელავ.

ო, ეს ხელები — მე არ მეგონა, —
იყო ხორცშესხმა შენი სურვილის...
თითქოს ვეხვევი ძვირფას მეგობარს
და დიდი ნდობით ვარ აღშფოთვილი.

მე ვესალმები ტყესა და ღელეს,
მე ვესალმები მზეს, ამოწვერილს,
და გუნებაში ვიხუტებ ყველას
ხელაპყრობილი, როგორც მლოცველი.

# პატარებს

**ვახტანგ ძნელაძე**

## მანანა და ბატიბუტი

მე პატარა მანანა ვარ,
ძლიერ მიყვარს ბატიბუტი,
ერთი მუჭა დავთესე და
ნახეთ, მოვა ათი ფუთი;
ნეტავ რაზე იცინიან
მურიკო და კატის კნუტი?!

## მზე და მზია

გაიხედეთ, დაინახეთ,
პირს იბანენ მზე და მზია.
მორჩნენ საქმეს და ორივე
ახლა უფრო ლამაზია.

## ბურატინოს ცხვირი სტკივა

ბურატინოს ცხვირი სტკივა,
ადგას დიდი გასაჭირი.
იცით, რატომ? იმიტომ, რომ
სხვის საქმეში წაჰყო ცხვირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვერა მარეცკაია

პარიზში, ქალთა საერთაშორისო ანტიფაშისტურ კონგრესზე (1945 წ.), სხვადასხვა ქვეყნის დელეგატები, რომლებიც მაშინ ჯერ კიდევ იბრძოდნენ წინააღმდეგობის რაზმებში, დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ თავიანთ წარმოდგენაში ცოცხლად არსებულ თანამებრძოლ რუს ქალს, ერთ-ერთი პარტიზანული რაზმის უფროსს—„ამხანაგ-П-ს“. არავის არ სურდა ხაზგასმა იმისა, რომ სინამდვილეში მათ წინაშე იდგა მსახიობი ვერა მარეცკაია და არა პრასკოვაია ლუკიანოვა, ანუ „ამხანაგი П-ს“, კინოფილმიდან: „ის იცავს სამშობლოს“ (1943 წ.).

1957 წელს, ქაიროში კინოფილმ „დედის“ დემონსტრაციის შემდეგ, მაყურებლებით გაჭედილი დარბაზი ფეხზე ამდგარი მიესალმა მათთან სტუმრად მყოფ ფილმის მთავარ გმირს — ნილოვნას და არავის სურდა ეფიქრა, რომ სინამდვილეში მათ წინაშე მსახიობი ვერა მარეცკაია იდგა.

1967 წელს, ქალაქ ტულიდან მოსკოვში სპეციალურად ჩამოვიდნენ ერთი დღით რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები, რათა ენახათ ძვირფასი პედაგოგი ვარვარა ვასილიევნა, ხოლო მასთან შეხვედრის დროს არავის არ უნდოდა შეხსენება იმისა, რომ სინამდვილეში ისინი საუბრობდნენ მსახიობთან და არა კინოფილმ „სოფლის მასწავლებლის“ (1947 წ.) ცოცხალ გმირთან.

მოსკოვის V საერთაშორისო კინოფესტივალზე, კინოფილმის — „მთავრობის წევრის“ (1939 წ.) დემონსტრაციის შემდეგ, უცხოეთის დელეგაციის წევრები უდიდეს აღფრთოვანებას გამოსთქვამდნენ იმის გამო, რომ მათ წილად ხვდათ ბედნიერება, იქვე, დარბაზში მყოფ ვერა მარეცკაიას სახით, ცოცხლად ენახათ ხსენებული ფილმის მთავარი გმირი ალექსანდრა სოკოლოვა.

კინოსტუდია „მოსფილმში“ როგორც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებიდან და სოფლებიდან, ასევე საზღვარგარეთიდანაც ხშირად მიდის წერილები „სოფლის მასწავლებლის“, „მთავრობის წევრისა“ თუ „ამხანაგის“ სახელზე. გასაგებია, რომ მათ სახელქვეშ განუყოფელადაა ნაგულისხმევი მსახიობი, ვინც შესძლო შთაგონებით ანთებულიყო და სხვებიც აენთო მის მიერ წარმოსახული დიდი ნებისყოფის, მაღალი გონებისა და გრძნობების, ბოროტების შეურიგებელი და სიკეთის შემოქმედი თანამედროვე ადამიანის კეთილშობილებით. ამის შესახებ თვით მსახიობიც მოგვითხრობს: „მე კინოში წილად მხვდა განმესახიერებინა გაუნათლებელი გლეხი ქალი ალექსანდრა სოკოლოვა, რომელიც მიხვდა, რომ საჭიროა ცხოვრების შეცვლა; სოფლის მასწავლებელი ვარვარა ვასილიევნა, რომელიც მზადაა შესწიროს ცხოვრება თავის მოწაფეებს, მათ ბედნიერებას; ტრაქტორისტი პრასკოვია ლუკიანოვა ფილმიდან „ის იცავს სამშობლოს“, რომელიც პარტიზანელი გახდა; ნილოვნა, გაუნათლებელი დედა პავლე ვლასოვისა, რომელიც მებრძოლთა რიგებში ჩადგა და მოსამართლე ქალი ვარვარა პოსტნიკოვა „გამარჯვებულთა თაობიდან“, რომელიც 1905 წლის ბარიკადებთან მივიდა“.

ყველა ამ სახეს გააჩნია თავისი დამოუკიდებელი ცხოვრება და, ამავე დროს, შინაარსობრივად საერთო ნიშან-თვისებაც—რევოლუციური ეპოქით ანთებული, თანამედროვე, ახალი ადამიანის მაღალი იდეალების გამოხატვა. მსახიობი არ ფარავს, რომ იგი განსაკუთრებით ბედნიერად გრძნობს თავს ამგვარ როლებში, და თუ ბოლო ხანს სულ უფრო ნაკლებად უხდება გამოსვლა ეკრანზე, ეს იმიტომ, რომ იგი მოთმინებით ელის ახლებურად გააზრებული თანამედროვე მეცნიერის, ხელოვანის თუ მოღვაწე ქალის მხატვრულ ასახვას კინოსცენარში; ამავე დროს,

ალექსანდრა სოკოლოვა — „მთავრობის წევრი“.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი დაუსწრებელი სწავლება

გაკვეთილი მე-7

## კომბინირებული ქსოვა

თვლების რაოდენობა იყოფა 16-ზე.

1 რიგი — 4 წალმა, 1 უკუღმა, 1 ჯვარედინა, 1 უკუღმა, 1 ჯვარედინა, 1 უკუღმა, 1 ჯვარედინა, 4 წალმა.

მე-2 რიგი — ამ რიგის თვლები და ყველა სხვა ლუწი რიგები იქსოვება როგორც მათ წინა რიგები. (როგორც გვიჩვენებს თვლები)

მე-3,მე-5, მე-7, მე-9 რიგები — როგორც პირველი რიგი.

მე-11 რიგი — 1 უკუღმა, 1 ჯვარედინა, 1 უკუღმა, 1 ჯვარედინა. 8 წალმა, 1 უკუღმა. 1ჯვარედინა, 1 უკუღმა, 1 ჯვარედინა.

მე-13, მე-15, მე-17, მე-19 რიგები — როგორც მეთერთმეტე რიგი.

21-ე რიგი — იწყება პირველი რიგიდან და ა. შ.

ნახ. № 1

თვლების რაოდენობა იყოფა 8+1 თვალი.

1 რიგი — 3 უკუღმა. 3 წალმა, 2 უკუღმა.

მე-2 რიგი — 1 წალმა, 2 წალმა, 3 უკუღმა. 3 წალმა.

მე-3 რიგი —. როგორც პირველი რიგი.

მე-4 რიგი — როგორც მეორე რიგი.

მე-5 რიგი — 3 უკუღმა, 1 წალმა, იღებთ 1 თვალს და ქვევით გამოუქსოვლად გადაყავთ 1 წალმა, 2 უკუღმა.

მე-6 რიგი — 1 წალმა, 2 უკუღმა, 1 უკუღმა, იღებთ ერთ თვალს და არ გამოქსოვთ, 1 უკუღმა, 3 წალმა.

მე-7 რიგი — 4 უკუღმა, 1 ჯვარედინა, 3 უკუღმა.

მე-8 რიგი — 1 წალმა, 3 წალმა, 1 უკუღმა, 4 წალმა.

მე-9 რიგი — 4 უკუღმა, ერთ თვალს იღებთ და არ გამოქსოვთ, 3 უკუღმა.

მე-10 რიგი — 1 წალმა, 3 წალმა. ერთ თვალს იღებთ და არ გამოქსოვთ, 4 წალმა.

მე-11 რიგი — 4 უკუღმა, 1 ჯვარედინა, 3 უკუღმა.

მე-12 რიგი — წალმაზე.

მე-13 რიგი — იწყება პირველი რიგიდან.

ნახ. № 2

თვლების რაოდენობა გაიყოფა 9-ზე

1 რიგი — 1უკუღმა, 2 წალმა, გამოქსოვთ ერთად. 1 მატება 1 წალმა, 1 მატება, 1 წალმა, 1 მატება, 1 წალმა, 1 მატება, 2 წალმა, გამოქსოვთ ერთად, 1 უკუღმა.

მე-2 რიგი — 1 წალმა, 1 უკუღმა. 7 წალმა, 1 უკუღმა, 1 წალმა

მე-3 რიგი — 1 უკუღმა, 2 წალმა, გამოქსოვთ ერთად, 5 წალმა, 2 წალმა თვალს გამოქსოვთ ერთად, 1 უკუღმა.

მე-4 რიგი — 1 წალმა, 7 უკუღმა, 1 წალმა.

მე-5 რიგი — 1 უკუღმა, 1 წალმა, 1 უკუღმა.

მე-6 რიგი — 1 წალმა, 1 უკუღმა. 5 წალმა, 1 უკუღმა, 1 წალმა.

მე-7 რიგი — იწყება პირველი რიგიდან და ა. შ.

ნახ. № 3

თვლების რაოდენობა იყოფა 10+5 თვალი.

1 რიგი — 5 წალმა, 1 უკუღმა, 1 წალმა, 1 უკუღმა, 1 წალმა, 1 უკუღმა, გამოქსოვეთ 5 წალმა.

მე-2 რიგი — 5 უკუღმა, 1 უკუღმა, 1 წალმა, 1 უკუღმა 1 წალმა 6 უკუღმა.

მე-3 რიგი — 1 წალმა, აგდებთ ერთ თვალს (დაიკავეთ წინ), 1 წალმა წალმად ქსოვთ გაშვებულ თვალს, 2 წალმა, 1 უკუღმა, 1 წალმა 1 უკუღმა, 1 წალმა, 1 უკუღმა.

მე-4 რიგი — როგორც მეორე რიგი.

მე-5 რიგი — 2 წალმა, აგდებთ ერთ თვალს (იკავებთ უკან), 1 წალმა, წალმადქსოვთ გაშვებულ თვალს, 1 წალმა, 1 უკუღმა, 1 წალმა, 1 უკუღმა, 1 წალმა, 1 უკუღმა.

მე-6 რიგი — როგორც მეორე რიგი.

მე-7 რიგი — როგორც მესამე რიგი.

ნახ. № 4

თვლების რაოდენობა იყოფა 2+1 თვალი.

1 რიგი — წალმა

მე-2 რიგი — უკუღმა

მე-3 რიგი — წალმა

მე-4 რიგი — უკუღმა

მე-5 რიგი — წალმა

მე-6 რიგი წალმა

მე-7 რიგი — 1 უკუღმა, 1 თვალიდან გამოგყავთ 3 თვალი (ამოტომ ქსოვთ 1 წალმას, 1 უკუღმას, 1 წალმას).

მე-8 რიგი — 1 წალმა, 3 უკუღმა.

მე-9 რიგი — 1 უკუღმა, 3 წალმა, გამოქსოვთ ერთად.

მე-10 რიგი — წალმა

მე-11 რიგი — წალმა

მე-12 რიგი — უკუღმა

მე-13 რიგი — წალმა

მე-14 რიგი — უკუღმა

მე-15 რიგი — როგორც პირველი რიგი და ა. შ.

ნახ. № 5

თვლების რაოდენობა იყოფა 8+5 თვალი.

1 რიგი — 5 უკუღმა, 3 წალმა.

მე-2 რიგი — ამ რიგის თვლები, როგორც ყველა ლუწი რიგები, იქსოვება ისე როგორც ხედავთ.

მე-3 რიგი — 5 წალმა, 1 უკუღმა, 1 წალმა, 1 უკუღმა.

მე-5 რიგი — როგორც მესამე რიგი.

მე-7 რიგი — როგორც პირველი რიგი.

ნახ. № 6

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნახ 1



ნახ 2



ნახ 3



ნახ 4



ბ 5



ნახ 6



ნახ 7



ნახ 8



ნახ 9



ნახ 10



ნახ 11



ნახ 12



ნახ 13

თვლების რაოდენობა იყოფა 8-ზე

1 რიგი — წალმა

მე-2 რიგი — 2 უკუღმა, 2 წალმა, 3 უკუღმა.

მე-3 რიგი — წალმა

მე-4 რიგი — 3 უკუღმა, 2 წალმა, 3 უკუღმა.

მე-5 რიგი — წალმა

მე-6 რიგი — 3 უკუღმა, 2 წალმა, 3 უკუღმა.

მე-7 რიგი — წალმა

მე-8 რიგი — 3 უკუღმა, 2 წალმა, 3 უკუღმა.

მე-9 რიგი — 2 წალმა, იღებთ ერთ თვალს და არ გამოქსოვთ. 2 წალმა, იღებთ 1 თვალს და არ გამოქსოვთ, 2 წალმა.

მე-10 რიგი — 2 წალმა, იღებთ ერთ თვალს და არ გამოქსოვთ. 2 წალმა, იღებთ ერთ თვალს და არ გამოქსოვთ, 2 წალმა.

მე-11 რიგი — როგორც მეცხრე რიგი.

მე-12 რიგი — როგორც მეათე რიგი

მე-13 რიგი — 2 წალმა, დამხმარე ჩხირით იღებთ 3 თვალს და იკავებთ უკან, 1 წალმა, დამხმარე ჩხირიდან გამოქსოვთ წალმად — ჯერ 2 თვალს, რომლებიც ბოლო რიგში გამოქსოვილია წალმად. მერე კი გამოქსოვთ გამოუქსოველ თვალს, 2 წალმა.

მე-4 რიგი — 3 უკუღმა, 2 წალმა, 3 უკუღმა.

მე 15 რიგი — იწყებთ პირველი რიგიდან.

ნახ. № 7

თვლების რაოდენობა იყოფა 16+1 თვალი

1 რიგი — 1 წალმა, 4 უკუღმა, 1 წალმა, 2 უკუღმა, 1 წალმა, 2 უკუღმა, 1 წალმა, 4 უკუღმა, ამთავრებთ ერთი წალმა თვალით.

მე-2 რიგი — 5 წალმა, 1 უკუღმა, 2 წალმა, 1 უკუღმა, 2 წალმა, 1 უკუღმა, 4 წალმა.

მე-3, მე-5, მე-7, მე-9 რიგები — როგორც პირველი რიგი.

მე-4, მე-6, მე-8, მე-10 რიგები — როგორც მეორე რიგი.

მე-11 რიგი — 1 წალმა, 4 უკუღმა, აგდებთ 1 თვალს წინ და დამხმარე ჩხირით ასხამთ 5 თვალს. იკავებთ მას უკან, 1 წალმა, გამოქსოვთ 5 თვალს დამხმარე ჩხირიდან (2 უკუღმა, 1 წალმა და 2 უკუღმა), გამოქსოვთ წალმად წინ დატოვებულ თვალს, 4 უკუღმა.

მე-12 რიგი — როგორც მეორე რიგი.

მე-13 რიგი — იწყებთ პირველ რიგს.

ნახ. № 8

თვლების რაოდენობა იყოფა 6+3 თვალი

1 რიგი — დამხმარე ჩხირით კრებთ 3 თვალს და იკავებთ წინ, გამოქსოვთ წალმა თვალს დამხმარე ჩხირიდან.

მე-2 რიგი — ამ რიგის თვლები, როგორც ყველა წყვილი რიგები, იქსოვება უკუღმად.

მე-3 რიგი — წალმად.

მე-5 რიგი — 3 წალმა. დამხმარე ჩხირიდან იღებთ 3 თვალს და იკავებთ მას წინ, გამოქსოვთ სახეზე 3 წალმა თვალს დამხმარე ჩხირიდან.

მე-7 რიგი — წალმა.

მე-9 რიგი — იწყება პირველი რიგიდან.

ნახ. № 9

თვლების რაოდენობა იყოფა 6+1 თვალი.

1 რიგი — 1 უკუღმა, 3 წალმა, 1 ჯვარედინა (გამოტოვებთ ერთ თვალს უკან, 1 ჯვარედინა და გამოქსოვთ გამოტოვებულ თვალს).

მე-2 რიგი — 1 წალმა, 1 უკუღმა, 2 ჯვარედინა უკუღმა თვალი (გამოტოვებთ 1 თვალს უკან, 1 უკუღმა და გამოქსოვთ ჯვარედინა უკუღმა გამოტოვებულ თვალს), 2 უკუღმა.

მე-3 რიგი — 1 უკუღმა, 1 წალმა, 2 ჯვარედინა, 2 წალმა.

მე-4 რიგი — 1 წალმა, 3 უკუღმა, 2 ჯვარედინა უკუღმა, 1 წალმა.

მე-6 რიგი — 1 წალმა, 2 უკუღმა, 2 უკუღმა, ჯვარედინა მარცხნივ (ტოვებთ 1 თვალს წინიდან, 1 ჯვარედინა უკანა თვალი და ქსოვთ უკუღმა გამოტოვებულ თვალს), 1 უკუღმა.

მე-7 რიგი — 1 უკუღმა, 2 წალმა, 2 ჯვარედინა მარცხენა თვალი, 1 წალმა.

მე-8 რიგი — 1 წალმა, 2 ჯვარედინა მარცხენა თვალი, 3 უკუღმა.

მე-9 რიგი — იწყება პირველი რიგიდან.

ნახ. № 10

თვლების რაოდენობა იყოფა 10+2 თვალი.

1 რიგი — 2 უკუღმა, 8 წალმა.

მე-2 რიგი — ამ რიგის თვლები და ყველა სხვა წყვილი რიგები იქსოვება ისე, როგორც მათ წინ მდგომი (წალმა წალმას ქვეშ, უკუღმა უკუღმას ქვეშ).

მე-3 რიგი — 2 უკუღმა, ტოვებთ 2 თვალს უკან, 2 წალმა, გამოქსოვთ სახეზე ორივე გამოტოვებულ უკანა თვალს, ტოვებთ 2 თვალს წინ, 2 წალმა, გამოქსოვთ სახეზე ორივე გამოტოვებულ წინა თვალს.

მე-5 რიგი — იწყება პირველი რიგიდან.

ნახ. № 11.

თვლების რაოდენობა იყოფა 6-ზე

1 რიგი — წალმა.

მე-2 რიგი — ამ რიგის თვლები და ყველა სხვა წყვილი რიგები იქსოვება უკუღმად.

მე-3 რიგი — წალმა.

მე-5 რიგი — ტოვებთ (ჩამოყრით) 3 თვალს წინ, 3 წალმა, წალმად გამოქსოვთ წინ გამოტოვებულ 3 თვალს.

მე-7, მე-9, მე-11 რიგები — წალმა.

მე-13 რიგი — ტოვებთ 3 თვალს უკან, 3 წალმა, წალმად გამოქსოვთ გამოტოვებულ უკანა მხრიდან 3 თვალს.

მე-15 რიგი წალმა.

მე-17 რიგი — იწყებთ პირველ რიგს.

ნახ. № 12

თვლების რაოდენობა იყოფა 5+2 თვალი.

1 რიგი — 2 უკუღმა თვალი ერთად, 1 უკუღმა, 1 მატება, 2 უკუღმა.

მე-2 რიგი — 1 წალმა, 2 წალმა, 1 უკუღმა, 2 წალმა.

მე-3 რიგი — 2 უკუღმა, 1 წალმა. 2 უკუღმა.

მე-4 რიგი — როგორც მეორე რიგი.

მე-5 რიგი — როგორც მესამე რიგი.

მე-6 რიგი — როგორც მეოთხე რიგი.

მე-7 რიგი — 1 მატება, 2 უკუღმა, 2 უკუღმა თვალი ერთად, 1 უკუღმა.

მე-8 რიგი — 1 წალმა, 1 უკუღმა, 4 წალმა, 1 უკუღმა.

მე-9 რიგი — 1 წალმა. 4 უკუღმა.

მე-10 რიგი — როგორც მერვე რიგი.

მე-11 რიგი — როგორც მეცხრე რიგი.

მე-12 რიგი — როგორც მერვე რიგი.

მე 13 რიგი — იწყება პირველი რიგიდან და ა. შ.

ნახ. № 13

ავტორი **ნინო გომიაშვილი-გვეტაძე,**

კონსულტანტი **ნინო ჩანტლაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ იგი განუწყვეტლივ განაგრძობს ამგვარი როლების გარეშედაც კი სცენაზე მოღვაწეობას, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მისთვის, როგორც შემოქმედისათვის, საერთოდ წარმოუდგენელია ცხოვრება მაყურებელთან ყოველდღიური შეხვედრის გარეშე, ხელოვნების გარეშე. მსახიობისათვის, რომელიც 60 წელს გადასცილდა, ყოველი წუთიც კი ძვირფასია. იგი კვლავინდებურად გრძნობს დაუშრეტელ ენერგიას, დიდ შემოქმედებით ენთუზიაზმს. ასეთი მსახიობისათვის მომაკვდინებულია ყოველგვარი თვითკმაყოფილება, მაშინაც კი, როცა მის მიერ განვლილი გზა ხელოვნებაში წარმატების მთელი ისტორიაა. გზა კი მართლაც სასახელო აქვს ვერა მარეცკაიას. მის შესახებ არ შეიძლება ითქვას, რომ იგი რომელიმე ერთი გარკვეული ამპლუისაა. მაგრამ თუ ყველაზე დიდი წარმატება ხელოვნებაში მას ჩვენი თანამედროვე, დიდბუნებოვანი ქალების როლებმა არგუნეს, ეს უფრო მისი დიდი ინტელექტით აიხსნება და არა იმით, რომ მას არ შესწევს უნარი დახატოს სხვადასხვა ხასიათის, სხვადასხვა ეპოქისა და სოციალური წყობის წარმომადგენელი ადამიანები. იდეალი ერთია და გამოხატვის უნარი მეორე.

როგორც მხატვარი, ვერა მარეცკაია ბუნებრივი ნიჭითაა დაჯილდოვებული, ამ ნიჭმ



ჯეინი — „გაქურდვა“.



ვლასოვა — „დედა“.



ვარვარა ვასილევნა — „სოფლის მასწავლებელი“.

ე. ვახტანგოვის თეატრის სტუდიაში შესასვლელ გამოცდებზევე მოხიბლა კომისია, სადაც მარეცკაიამ გულწრფელი განცდით და შთაგონებით წაიკითხა მ. გორკის „სიმღერა შევარდენზე“. შემდეგში სწორედ ეს გულწრფელობა და შთაგონებლობა იქცა ეკრანსა და სცენაზე მისი გამარჯვების საფუძვლად, განსაკუთრებით ეკრანზე, რადგან ყოვლის აღმქმელი ობიექტივის წინ, უმალ თვალსაჩინო ხდება ოდნავი სიყალბეც კი. აი, რატომ იყო, რომ როგორც კი მისმა პირველივე როლმა ფილმში „ტორჟკელი თერძი“ (1925 წ.) ნათელჰყო მისი შემოქმედებითი უშუალობა, რეჟისორებმა ზედიზედ მიმართეს მსახიობს და სრულიად სხვადასხვა ფილმებში მიაღებინეს მონაწილეობა. მისი ადრინდელი როლებიდან ეკრანზე დიდი წარმატებით სარგებლობდა: მოსამსახურე ქალი პარაშა („სახლი ტრუბნოიზე“. 1927 წ.), ნასტია („უბრალო გულები“. 1928 წ.), მდივანი („2-ბულდი-2“. 1929 წ.), მსახიობი ქალი („მსოფლიო სახელი“. 1930 წ.), სოფიკო („სირცხვილია გამხელა“. 1930 წ.), ოლგა („სამუელ ვულფის ოთხი ვიზიტი“. 1934 წ.), ვერა („სიყვარული და სიძულვილი“. 1935 წ.) და სხვა მრავალი. ამ როლებში უფრო მეტად ჭარბობდა კომიკური ელემენტები და ამიტომ ბევრი იმასაც კი ფიქრობდა, რომ მარეცკაია მხოლოდ კომედიური ჟანრის მსახიობიაო, სინამდვილეში კი იგი კომიკურ როლებშიც ფართოდ ავლენდა სახის მრავალმხრივი აღქმისა და დახატვის უნარიანობას. იგი არასოდეს არ მიმართავდა იაფფასიან, გაცვეთილ კომიკურ ხერხებს. კომიკურ სიტუაციაში მთელი სერიოზულობით იჩენდა თავს მისი გმირის ლირიკული და წმინდა გრძნობები და ამით კიდევ უფრო მეტი დამაჯერებლობა ემატებოდა ამა თუ იმ სახეს.

ცნობილია მარეცკაიას ლეგენდარული მოთმინება: მას შეუძლია ერთიდაიგივე სცენა ერთიდაიგივე გულწრფელობით განიცადოს ოცჯერ და ოცდახუთჯერაც, თუ კი ამას გადაღების დროს რაიმე ტექნიკური დაბრკოლება მოითხოვს. ასე იყო, როცა იგი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მონაწილეობდა „მთავრობის წევრში“ და ასევე მოხდა ამ ცოტა ხნის წინათაც, საკმაოდ დიდი შემოქმედებითი გზის განვლის შემდეგ, ერთ-ერთ ბოლოდროინდელ ფილმში („კეთილ ადამიანებს შორის“. 1962 წ.) რამდენიმეჯერ გაიარა ერთიდაიგივე სცენა, იმის გამო, რომ ტექნიკურად არ ხერხდებოდა გმირის განცდის რეალური გადმოცემა. მას შეუძლია მთელი თავისი ენერგია მოახმაროს სიმართლეს, გულწრფელ განცდებს. ხოლო როცა ამას აღწევს, კვლავ ახალი ენერგიით ემზადება ახალი სახის შესაქმნელად.

სსრკ სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ვერა მარეცკაია კვლავ ჩვეული მოთმინებით ელის მისთვის საოცნებო თანამედროვე მოღვაწე ქალის როლს, ხოლო მის მიერ ასეთი როლის დახატვის აუცილებლობა თუნდაც იმითაა გამართლებული, რომ მარეცკაია თვითონ არის საუკეთესო მაგალითი თანამედროვე მოღვაწე ქალისა, რომელსაც შესწევს უნარი დიდ სამსახიობო შემოქმედებას შეუთავსოს დიდი საზოგადოებრივი მუშაობაც.

გივი ბარამიძე

# მეცნიერი სჭირდება ხალხს



აუდიტორიის წინ სტუდენტები ტრიალებენ. ზოგს გადაშლილი წიგნი უჭირავს ხელში და დაკვირვებით კითხულობს, ზოგი ერთმანეთს შეკითხვებს აძლევს. ერთი მოუთმენელი ჭაბუკი ყურით კარებს აკვრია, აინტერესებს გაიგოს, რა კითხვებს უსვამს ლექტორი გამოსაცდელს.

მარიამი ჩვეული სიდინჯით და მომღიმარი თვალებით შეჰყურებს მის წინ მჯდომ ახალგაზრდას... ვინ მოთვლის, ამ სამი ათეული წლის მანძილზე რამდენი სტუდენტის ცოდნა შეუფასებია მარიამ სიხარულიძეს, რამდენი მომავალი აგრონომი აღუზრდია, უსწავლებია მათთვის მინდვრის კულტურათა სელექციის და მეთესლეობის ურთულესი საკითხები. მარიამ სიხარულიძის წიგნებზე, მის მიერ შედგენილ პირველ ორიგინალურ ქართულ სახელმძღვანელოზე — „მინდვრის კულტურათა სელექცია-მეთესლეობა“ ხომ სტუდენტთა თაობები იზრდებიან. ასევე დიდ დახმარებას უწევს მომავალ აგრონომებს მ. სიხარულიძის მიერ დამუშავებული მინდვრის კულტურათა სელექცია-მეთესლეობის ლაბორატორიული სახელმძღვანელო, რომელიც მან საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სელექცია-მეთესლეობის კათედრის თანამშრომლებთან ერთად გამოსცა.

...სტუდენტი დამაჯერებლად აყალიბებს მცენარეთა წყვილების შეჯვარების მეთოდს, ახალი ჰიბრიდის გამოყვანის წესს. მასწავლებელი კმაყოფილია პასუხით და მატრიკულშიც სათანადო შეფასება იწერება.

მაგიდაზე ტელეფონი აწკრიალდა.

— ალო, გისმენთ, ალიოშა ხარ? — ჩასძახა მარიამმა ყურმილში. მეუღლე ურეკავდა. ისიც საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მუშაობს მემცენარეობის კათედრის პროფესორია, — „მერაბის წერილია, რა, დამაჯილდოესო? — და დედას სახე სიხარულით გაებადრა, — ყოჩაღ, ბიჭო!“

აგერ, თითქმის ოთხი წელია, რაც მარიამის ერთადერთმა ვაჟმა წარმატებით დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და მუშაობს კიშინიოვში, მეღვინეობის სამმართველოს მთავარ ტექნოლოგად. მერაბ ჯაფარიძის შრომა ღირსეულად დააფასეს და ოქტომბრის 50 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით იგი მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დააჯილდოეს.

მარიამმა ყურმილი დასდო, დღევანდელი გამოცდა დაუსწრებელი ფაკულტეტის სტუდენტებთან დაკავშირებული იყო. მალე დაიწყება დასწრებულთა საზამთრო სესიები, შემდეგ — სახელმწიფო გამოცდები... მან ჩვეული სიმარდით აალაგა მაგიდიდან საგამოცდო უწყისები და ლაბორატორიაში გავიდა.

ოთახში ნაფტალინის მძაფრი სუნი ტრიალებდა. ხის ჩარჩოებში ქაღალდის პაკეტები ეწყო, ბევრ მათგანს პატარა ფირფიტები ჰქონდა მიკრული, რომელზედაც აღნიშნული იყო გვარი და ნომერი. ბევრი პაკეტი ჯერ იატაკზე იდო. ლაბორატორია ახლად იყო გადმოტანილი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ახალ შენობაში, დიღომში, და ამიტომ ყველაფერი ჯერ კიდევ ვერ იყო მოწესრიგებული.

ფანჯრიდან მოჩანდა თბილისური ზამთრის პეიზაჟი, გაძარცვული მცენარეები და ჰახჰახა მზე. ქალმა გადმოიღო რამდენიმე პაკეტი, გახსნა ერთი მათგანი, ქაღალდზე ლამაზად იყო დამაგრებული სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის ხორბლის გამხმარი თავთავები. ახლა მეორე პაკეტი გახსნა, რამდენი რამის მთქმელია ეს, ერთი შეხედვით — უბრალო მცენარეები, რამდენი შრომა და ჯაფა დასჭირდა მარიამს მათ გამოსაყვანად.

ახლა ზამთარია და სელექციონერი ქალიც ლაბორატორიას არ შორდება, თორემ შემოდგომაზე და ზაფხულში მარიამს აქ რა გააჩერებს. ის დღენიადაგ მინდორშია, მუხრანის საცდელ-სასწავლო ნაკვეთზე. ხორბალს ხომ დედამიწაში ჩათესვიდანვე სჭირდება მოვლა-პატრონობა და მეცნიერის თვალიც, რა ამინდიც არ უნდა იყოს, შვილივით თავს დასტრიალებს საექსპერიმენტო ნაკვეთს. აქვე, მის გარშემო ტრიალებენ სტუდენტები. დოცენტი მარიამ სიხარულიძე მათ გადასცემს წლების განმავლობაში შეძენილ ცოდნას.

სხვადასხვა პროფესია აირჩიეს დარდო სიხარულიძის შვილებმა. ამ ნაადრევად დაქვრივებული ქალის ოჯახს, მის შვილებს სიყვარულით იხსენიებენ ჩოხატაურელები. დარდოს უფროსი ვაჟის, აწ განსვენებული ცნობილი ოფტომოლოგის პროფესორი ივანე სიხარულიძის სახელი ფართოდ არის ცნობილი საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც. მარიამის უმცროსმა დამ, პროფესორმა ქსენია სიხარულიძემ, ქართული ლიტერატურისა და ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების შესწავლა აირჩია. მისმა მომდევნო თამარმა კი დაწყებითი სკოლის მოსწავლეთა აღზრდას მოჰკიდა ხელი.

მარიამს ბავშვობიდანვე იტაცებდა მცენარეები, ბათუმში, ჰუმანიტარულ ტექნიკუმში სწავლისას სიყვარულით შეუვლია ხელი პალმებისა და დაფნის ბუჩქებისათვის, დამტკბარა ფერად-ფერადი ყვავილებით მოხატული პლიაჟით.

არავის გაჰკვირვებია, როცა მარიამმა ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ განცხადება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტზე შეიტანა. თუმცა უფროსი ძმა დაჟინებით სთხოვდა სამკურნალო ფაკულტეტი აერჩია, მაგრამ მარიამი ერთი წუთითაც არ ნანობს არჩეულ გზას. ანდა რა აქვს სანანებელი. განა ცოტა რამ გააკეთა მეცნიერმა ქალმა ქართული მარცვლეული კულტურების შესწავლის საქმეში? იგი ავტორია 40-მდე სამეცნიერო შრომისა სელექციისა და მეთესლეობის აქტუალურ საკითხებზე. მისი შრომები გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე. მარიამს მოსდის წერილები საზღვარგარეთის ქვეყნებიდან. ქართველ მეცნიერს ხშირად მიმართავენ კონსულტაციისათვის. მარიამი სისტემატურად მონაწილეობს საკავშირო და რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში, მისი მოხსენებები ყოველთვის მაღალ შეფასებას იმსახურებს.

1942 წელს მარიამმა წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „დიკა, როგორც საწყისი მასალა სელექციისათვის“, და ეს შრომა მონოგრაფიის სახით კიდევაც გამოქვეყნდა.

1938 წლიდან მარიამ სიხარულიძემ მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერის აკადემიკოს ლეონარდ დეკაპრილევიჩის ხელმძღვანელობით დაიწყო პირველი ჰიბრიდების გამოყვანა და დღემდე წარმატებით აგრძელებს ამ საქმეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სელექცია-მეთესლეობის კათედრაზე. მას აქვს ხორბლისა და ლობიოს რამდენიმე პერსპექტიული ჰიბრიდი, ის თანაავტორია ხორბლის ინტენსიური ტიპის

ეროვნული ბიბლიოთეკა

„თბილისური 5-ისა", რომელიც გადაცემული აქვს ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო კომისიას.

რას წარმოადგენს ეს ჯიში?

საქართველოში ხორბლის ბევრი ძვირფასი ჯიშია, როგორიც არის „დოლის პური". „დიკა", „ხოლუგა" და სხვა ქართველი გლეხი საუკუნეების განმავლობაში თესავდა მას და იღებდა მოსავალს, მაგრამ განა ეს ჯიშები სრულყოფილია? ისინი საუკეთესოდ ეგუებიან გარემო პირობებს, მაგრამ მაღალი ტენიანობის დროს, მაგალითად, დოლის პურის ყანას ახასიათებს „ჩაწოლა". კომბაინით მისი აღება ჭირს, ამავე დროს მას აქვს ჟანგვისადმი მიდრეკილება. ხორბლის ჯიშის ეს უარყოფითი მხარეები რომ გამოსწორდეს, მეცნიერები მიმართავენ შეჯვარების მეთოდს.

კარგ შედეგს იძლევა ხორბლის ქართული ხალხური ჯიშების შეჯვარება გეოგრაფიულად დაშორებულ, კერძოდ, არგენტინულ, კანადურ, იტალიურ ხორბლის ჯიშებთან.

„თბილისური 5-ის" მისაღებად „დოლის პური" შეაჯვარეს „ხულუგასთან", მათი ჰიბრიდი კი — არგენტინულ ხორბალთან. ამგვარად მიიღეს გაუმჯობესებული ხორბლის ახალი ჯიში, რომელიც პირველ რიგში მაღალმოსავლიანია, აქვს პურცხობის შესანიშნავი თვისებები, საადრეოა, დოლის პურთან შედარებით შემოდის ორი კვირით ადრე. მის ნაწვერალზე მთელ რიგ რაიონებში ასწრებენ სიმინდის მოსავლის მიღებას.

„თბილისური 5" უძლებს ჩაწოლას და კონკურენციას უწევს საქვეყნოდ აღიარებულ „უფხო პირველს". ამ ჯიშთან შედარებით ახალი ქართული ჯიში 8-10 დღით ადრე შემოდის.

მარიამ სიხარულიძეს კარგა ხანია დამუშავებული და დაწერილი აქვს სადოქტორო დისერტაცია ქართული ხორბლეულობისა და სელექციის საკითხებზე. მალე ალბათ ქართველ მეცნიერთა რიგებს სელექცია-მეთესლეობის დარგში შეემატება ერთ-ერთი პირველი ქართველი დოქტორი ქალი.

**ლარისა ხუხულური**

# ႵႤႡႠ ႣႤႣႨႱႠ

(შუმერული ლექსი, II ათასწლეულისა ძვ. ერამდე)

მეფის მოციქულო, გზას გაუდექ,
ნიპურს[1] მიმიტანე ესე ამბავი!
შორეულ მგზავრობად განემზადე.
გინა ფხიზლობდეს დედაჩემი, გინა ეძინოს,
მისი სავანისკენ წარემართე.
მაცნევ, მისალმებას ჩემსას ნუ გასინჯავ,
წიგნი ჩემი მისალმებისა ხელთ ჩააბარე.
მხიარულია დედაჩემი, მოკაზმული,
უკეთუ ვერ იცნო, ნიშნებს გაუწყებ:
შათ-იშთარ სახელი მისი, ამგვარად ეძებდე:
ტანადია და პირმშვენიერი,
მოწყალე ქალღმერთმა მისი უბნისამ
ბედი განუსაზღვრა სიჩჩოებითვე.
ქმარეული საყდრისკენ მოწიწებით ვალს,
კდემით ჩერდება ქალღმერთის წინაშე,
უწყის, სად ეძიოს ინანას[2] ადგილი.
არგადამხვევი უფლის სიტყვათა,
ხელმტკიცე, საუნჯეთა მაუხვებელი,
მოყვარული, მლმობელი, მოცინარე,
კრავი, მწთოლვარე ამო ზეთით და ტკბილი ნაღებით.
მეორედ გაუწყებ დედაჩემის ნიშნებს:
დედაჩემი — ცის წიაღში მოკაშკაშე სხივი,
ყელმოღერებული შველი მთებისა,
ლალი, იაგუნდი მარხაშის[3] მხარისა,
სამეუფო განძი გრძნებით აღსავსე,
მარმარის ბეჭედი მზეებრ ელვარე,
კალის სამაჯური, ანთასურას[4] სალტე,
ოქრო რჩეული და ვერცხლი წმიდა,
მაგრამ ცხოველი, მსუნთქავი არსი.
ალბასტროს ქანდაკი ლილაქვის კვარცხლბეკზე შემდგარი,
ცოცხალი კერპი გრძნეულნაკვთიანი.
მესამედ გაუწყებ დედაჩემის ნიშნებს:
დედაჩემი — ზეციური წვიმა,
წყალი ურჩეულეს თესლისა,
უხვი მოსავალი, ნაყოფის ორმაგად გამომღები,
მტილი შვებისა სიხარულით აღსავსე,
მორწყული ნაძვი, გირჩებით დახუნძლული,
ადრეული ხილი, გაზაფხულის პირველი ნაყოფი,
სარწყავი არხი, უხვი წყლის მომტანი,
ტკბილი ფინიკი დილმუნის[5] მხარისა, პირველმოწეული.
მეოთხედ გაუწყებ დედაჩემის ნიშნებს:
ლოცვა-გალობებს სიწრფოებით აღავლენს დედაჩემი,
ახალწლის ზეიმზე მზერა უბრწყინავს,
სეფექალი, მღერალი სიუხვის გალობათა,
როკვის ადგილას აღტაცების მომტანი,
მოყვარული გული, ლხენაულევი,
სასო ტყვექაცისა, დედისაკენ დაბრუნებულის.
მეხუთედ გაუწყებ დედაჩემის ნიშნებს:
დედაჩემი — ფინიკი ტკბილსურნელოვანი,
ეტლი ფიჭვისა, ბზის ტახტრევანი,
კეთილი მცენარე, სურნელთ აღმომფშვენი,
მტევანი — გვირგვინი უხვებით შეთხზული,
ნელსაცხებელით აღვსილი ჭურჭელი.
ნიშნები გაუწყე, რა წარსდგები მისი ნათლის წინაშე,
ეტყვი: „ლუ-დინგირა[6], ძვირფასი ძე შენი, მშვიდობით ჰკიეს"

**შუმერულიდან თარგმნა ზურაბ კიკნაძემ**

---

1. ნიპური — შუმერის უძველესი ეროვნული ცენტრი.
2. ინანა — ქალღმერთი, იგივე იშთარი.
3. მარხაში — სამეფო შუმერის აღმოსავლეთით.
4. ანთასურა — მაგიური დანიშნულების რაიმე საგანი.
5. დილმუნი — სპარსეთის ყურეში მდებარე კუნძულების შუმერული სახელწოდება. შუმერული მითოლოგიით ამქვეყნიური სამოთხე.
6. ლუ-დინგირა — კაცის სახელი. შუმერულად ნიშნავს „კაცი ღვთისა", ღვთისო.

# სოფელი დონიეაის...

თითქოს მზე მთის იქიდან ამოდის. არ ვიცი, მთას სახელად რას ეძახიან. აქ არც არავინ იცის მისი სახელი. მთა მაღალია და სხვადასხვა მცენარეებითაა დაბურული. მის კალთაზე დიდი რუსი პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლმუზეუმია. დგას კოპწია სახლი, სადაც დაიბადა და ბავშვობის ადრინდელი წლები გაატარა პოეტმა. პოეტის მამა მეტყევე იყო და საცხოვრებლად საგანგებოდ ამოურჩევია სათვალთვალოდ მოხერხებული ადგილი, რომ არავის მოეჭრა ხე, ამოურჩევია კუჭუხიძეების სახლი, სადაც რამდენიმე წელს ცხოვრობდა თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახით. სახლი იმ გზის ნაპირას დგას, სადაც ტყე მთავრდება და კურორტ საირმისაკენ ცენტრალური გზა გადის. დაბლა კი მდინარე ხანისწყალი მიედინება. ეზოში ნაირფერი ყვავილები და ხეთა ჯარია.

ახლა მუზეუმში არავინაა, საგაზაფხულო სამუშაოებია სოფლად. შრომობენ მაიაკოვსკელები. ჩემმა მეგზურმა, კომკავშირის რაიკომის მდივანმა ლიანა კოტრიკაძემ მუზეუმის მთელი ასავალ-დასავალი იცის. საგამოფენო ოთახები დამათვალიერებინა, ყველა ექსპონატის ისტორია მიამბო, პოეტისეული ნივთებიც მაჩვენა და ბოლოს ყველაზე ახალ განყოფილებაში შემიძღვა. იქ გამოცემის თანმიმდევრობით მაიაკოვსკის 300-მდე წიგნია გამოფენილი, რომელთა შეგროვებაზე 10 წელია ზრუნავს მუზეუმის დირექტორი ნიკოლოზ კუჭუხიძე.

მაიაკოვსკის რაიონის გაცნობა ყოველთვის პოეტის სახლმუზეუმით იწყება.

* * *

მივდივართ დიმში, რომელიც ყველაზე დიდი და მოწინავე სოფელია რაიონში.

მივყვებით ხანისწყლის ნაპირს.

შარაგზის გასწვრივ ლამაზად ნაგები სახლებია, იმერეთში ოდებს რომ ეძახიან. მოვლილია საკარმიდამო ნაკვეთები. ყველა ეზო ერთმანეთს წააგავს — მობიბინე კოინდრითა და ყვავილებით დამშვენებული, ეზოს კუთხეში აღმართული ჭის თავით. ეზოში ლოყებღაჟღაჟა ჯანსაღი ბავშვები დარბიან.

შარაგზამ სოფელ დიმში ჩაგვიყვანა. იგი სულ რაღაც ორიოდე კილომეტრითაა დაშორებული რაიონის ცენტრს. ლამაზი და დიდი სოფელია დიმი. ორ კოლმეურნეობას აერთიანებს. ერთი კალინინის სახელს ატარებს, მეორე სვერდლოვისას. ორივე კოლმეურნეობაში 1275 კომლია გაერთიანებული. თითოეულ კოლმეურნეობას თავისი თავმჯდომარე ჰყავს, მხოლოდ სასოფლო საბჭო საერთო აქვთ.

თავმჯდომარეები გარეგნობით ერთმანეთს ჩამოგავან და ასაკითაც თანატოლები არიან.

რამდენიმე წელია, რაც ნიკოლოზ ჩიქვინიძე და გივი შავგულიძე ერთმანეთს ძმებივით უდგანან მხარში, თათბირობენ, ერთმანეთს აზრს უზიარებენ...

— ჩვენი ღვინის ქარხანა დაათვალიერეთ, — მეუბნება ნიკოლოზი. — მთელ რესპუბლიკაში მხოლოდ აქ არის იუგოსლავური ცისტერნები. თითოეული ორმოცდაათი ტონის ტევადობისაა. არის ადგილობრივი მარკის ცისტერნებიც.

შარშან ქარხანამ 2.240 ტონა ყურძენი გადაამუშავა. სოფელმა შეასრულა ყურძნის დამზადების წლიური გეგმა. გადაჭარბებას ვარაუდობდნენ, მაგრამ არახელსაყრელმა ამინდმა შეუშალა ხელი მაღალი მოსავლის მიღებას.

ქარხანაში ნედლეული პირველ ტექნოლოგიურ პროცესებს გადის და საპორტვეინე მასალას საქართველოსა და რუსეთის სხვადასხვა ღვინის ქარხნებს უგზავნის ჩამოსასხმელად.

ღვინის ქარხნიდან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით დიმის კონიაკის ქარხანაა, აქაც პროდუქცია ნახევრად მუშავდება. სპირტი მიჰყავთ 65 გრადუსამდე, შემდეგ დასაძველებლად იგზავნება თბილისის (ავჭალისა) და ზესტაფონის კონიაკის ქარხნებში. ორივე ქარხანაში შრომის პროცესი მექანიზებულია.

* * *

კოლმეურნეობათა ძირითადი წამყვანი დარგები მევენახეობა, მესიმინდეობა და მესაქონლეობაა. ახლახან ჩაეყარა საფუძველი ჩაის კულტურის მოშენებას და წელს პირველი მოსავლის მიღებას ვარაუდობენ.

სოფელი ამაყობს რვა სოციალისტური შრომის გმირითა და მოწინავე კოლმეურნე ქალებით. რაიონში ვინ არ იცნობს მევენახე-მეაბრეშუმეს, რაიონული საბჭოს დეპუტატს ელენე დენოსაშვილს, რომელმაც აბრეშუმის პარკის მაღალი მოსავლით ისახელა თავი, ქეტუ ხარაბაძეს, რომელმაც 0,20 ჰექტარ ვენახზე 80 ცენტნერი ყურძენი მოიწია. მას არც მერი ებანოიძე, ლუბა ღვინჯილია და თინა ჭულუხაძე ჩამორჩებიან.

დიმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ გასულ წელს საშუალოდ თითოეულ ჰექტარზე 80-85 ცენტნერი ყურძენი მოკრიფა. სახელი გაითქვა თენგიზ ჩიქვინიძის ბრიგადამ, 12 ჰექტარ მსხმოიარე ვენახიდან ნაცვლად 900 ცენტნერისა 1.100 ცენტნერი ყურძენი მიიღო. მოუღლელად იშრომეს ამ ბრიგადის ახალგაზრდა კოლმეურნეებმა: ლილი ჩიქვინიძემ, მზია კუპრაშვილმა, ნუნუ გეგეშიძემ, ნანული გიორგაძემ და სხვებმა.

კოლმეურნეობამ ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის ხორცისა და ყველის მიყიდვის წლიური გეგმა. ნაცვლად 2.850 კილოგრამისა, სახელმწიფოს 3.770 კილოგრამი აბრეშუმის პარკი ჩააბარა.

სოფელი კეთილმოწყობილია, აქვთ კულტურის სახლი, სადაც სისტემატურად ეწყობა კოლმეურნეთა შეხვედრები სამამულო ომის მონაწილეებთან, გამოჩენილ ადამიანებთან... დიმელების ხშირი სტუმრები არიან მათივე თანასოფლელები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ლევან ებანოიძე და კინორეჟისორი რევაზ ჩხეიძე.

სოფელ დიმის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ლევან ცერცვაძე დაწვრილებით გვიამბობს იმ დიდი ცვლილებების შესახებ, რაც სოფელმა ბოლო ათი წლის მანძილზე განიცადა. 415 კოლმეურნემ აიშენა ახალი საცხოვრებელი სახლი. კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა ახალმოსახლეებს ეხმარებოდა სესხით, მუშახელით, ტრანსპორტით.

ასფალტი დააგეს სოფლის შიდა შარაგზებზე.

94 ოჯახს არ ჰქონდა სასმელი წყალი, კილომეტრების გავლა უხდებოდათ წყლის მოსატანად, დღეს ყველას აქვს სოფელში სასმელი წყალი.

ყველაფერი კეთდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით. რვა წელია სოფელს ემსახურება რაიონული საბჭოს დეპუტატი ექიმი ლენა გარუჩავა. იგი მუდამ თავს დატრიალებს პატარებს, დროულად უტარებს აცრებს, საგრძნობლად იკლო ინფექციურ დაავადებათა შემთხვევებმა.

დიმელებს აქვთ სამეანო-გინეკოლოგიური პუნქტი და საექიმო უბანი, რომელსაც ოთხი მედიცინის და ემსახურება, კვალიფიციური ფარმაცევტებით არის დაკომპლექტებული აფთიაქი.

ახლახან გაიხსნა მუდმივი საბავშვო ბაღი. უმოკლეს დროში მუშაობას დაიწყებს ორი ბაგა-ბაღი. ორივე კოლმეურნეობა თავთავისთვის იშენებს თანამედროვე ტიპის კანტორასა და კლუბს.

აშენდა ორი ახალი საშუალო და ერთი საღამოს სკოლა. მიმდინარეობს რვაწლიანი სკოლის მშენებლობა. მალე სოფელს მესამე საშუალო სკოლაც ექნება.

სოფელში არის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, 300-ადგილიანი კლუბი, ორი ბიბლიოთეკა, სასადილო და სასაუზმე, სამრეწველო და სასურსათო მაღაზიები.

* * *

საუცხოო სანახავია შემოღამებისას 2.247 ჰექტარზე გადაშლილი დიმი. მზე მთის პირდაპირ ჩაუშვებს სხივებს და ათასფრად აელვარდება ხანისწყალში, მერე მთების ჩრდილები წამოიმართება და მთელი დღის შრომით მოღლილი სოფელი მიჩუმდება. სახლებში ინთება ცისფერი ეკრანი. ადამიანები ისვენებენ.

**ნანული ბუკია**



ეროვნული ბიბლიოთეკა



# დრინას ხიდი

ივო ანდრიჩი

**გამოჩენილი იუგოსლაველი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის—ივო ანდრიჩის ნოველათა კრებული „დრინას ხიდი“ მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი. წელს, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ ამ წიგნს გამოსაცემად ამზადებს. წიგნი თარგმნა პოეტმა მედეა კახიძემ. ვბეჭდავთ ნაწყვეტს ამ კრებულში შემავალი ერთერთი ნოველიდან. ნოველაში მოთხრობილია ბოლშოილუგელი აბიდ-აღას ქალიშვილის—ლამაზი და გულამაყი ფატას ტრაგედია. როდესაც ნეზუკელმა ნაილ-ბეგმა ფატას ცოლობა სთხოვა, მან დაცინვით უპასუხა: ეს სასწაული მაშინ მოხდება, როდესაც ბოლშოი-ლუგი თავისი ფეხით ავა ნეზუკში. და აი, ფატას მაინც ათხოვებენ ნაილ-ბეგზე. ორივე სოფელი დაძაბული ელის ამბის განვითარებას და ამ ამაყი ქალიშვილის მოტეხვას.**

**მხატვარი დ. ზარაფიშვილი.**

ბოლშოი-ლუგში თბილი, სასიამოვნო ღამეები იცის. ვარსკვლავები თითქოს დედამიწას უახლოვდებიანო, მოუსვენრად ციმციმებენ და თეთრი, უცნაური ფერითა ბრწყინავენ. ფატა ფანჯარასთან იდგა და მათი მზერით ტკბებოდა. ძარღვებში სასიამოვნო მოთენთილობა უვლიდა. სხეულის ცალკეულ ნაწილებს, ფეხები იყო, თეძოები, ხელები თუ კისერი, განსაკუთრებით კი გულმკერდი, როგორც ძალისა და სიხარულის მიმნიჭებელ წყაროებს — ცალ-ცალკე შეიგრძნობდა. სავსე და მაღალი მკერდით ფანჯრის ხის ალათაზე იყო დაყრდნობილი. და ეჩვენებოდა: ბორცვი სახლებიანად, ჯეჯილებიანად და ბაღებიანად ღრმად და თანაბრად სუნთქავდა და ულრუბლო ცასა და ღამის უსასრულობასთან ერთად ზემოთ და ქვემოთ ადი-ჩამოდიოდა. მის ყოველ ამოსუნთქვაზე ხის ალათა დაბლა იწევდა, მერე ისევ მაღლა მიფრინავდა. ფატას მკერდზე შეეხებოდა. კვლავ სადღაც მიისწრაფოდა, ისევ მობრუნდებოდა. კვლავ მკერდზე მიესალმუნებოდა და ასე განუწყვეტლივ...

დიახ, ქვეყანა დიდია. დღისითაც კი დიდი გვეჩვენება, როცა ვიშეგრადის დაბლობი სიცხე-პაპანაქებაში იშუშება, მწვანე მდინარის ნაპირზე თეთრად გამოკრთის ხიდითა და შავი მთების არშიით შემოქობილი ქალაქი, როცა გეჩვენება, რომ იმის შეგრძნებაც კი შეგიძლია, როგორ იზრდება ნიავისაგან დარხეული ჯეჯილი. მაგრამ



ღამით, მხოლოდ ღამით, როცა ცა გამოცოცხლდება, თვალწინ იშლება სამყაროს უსაზღვროება და ყოვლისშემძლეობა, სადაც ადამიანი უძლურია, თავს ანგარიშს ველარ აძლევს — საით ისწრაფვის, რა სწადია და რა უნდა მოიმოქმედოს.

ნამდვილი, ნათელი და მარადიული ცხოვრება მხოლოდ მაშინ ილვიძებს, იქ არც ის სიტყვებია, მთელი სიცოცხლე მძიმე უღლად რომ გაწვება, არც დაპირებაა, რომელსაც სიკვდილი მოაქვს და არც გამოუვალი მდგომარეობა.

თუმცა-ღა, ფრთამალი და უმოწყალო ბედი, ადამიანებს სიკვდილისა და სირცხვილის გარდა, სხვა გზას არ უტოვებს. მას არ შესწევს ძალა სამყარო შესცვალოს. დიახ, აქ ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც ცხოვრებაშია, სადაც სიტყვის გატეხვა არ შეიძლება და დაპირებას ვერსად გაექცევი.

აქ თავისუფლების უსასრულო, უსახელოდ იდუმალი სამეფო იხსნება... უეცრად, სადღაც ქვემოდან, გეგონება შორიდან მოისმისო, ყრუ, მაგარი და მძიმე ხველის ხმა ამოვარდა.

ეს ავიდ-აღა იყო, შუაღამისას ხველებას რომ ებრძოდა. ფატა არა თუ იცნობს ამ ხმას, თვალნათლივ ხედავს ლოგინზე წამომჯდარ, ხველებისაგან გატანჯულ მამას, რომელიც თუთუნს ექაჩება და ძილს ვერ ახერხებს.

ფატას მოეჩვენა, რომ მამის ნაცნობი, დიდი, ყავისფერი თვალები შესცქეროდნენ, რომელიც ასე საოცრად ჰგავს მის საკუთარ თვალებს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მამას თვალთაგან ცრემლი მოსდის მუდამ და დამცინავი შუქი უკრთის შიგ.

იმ დღეს, როცა მამამ ხამზიჩთან დაწინდვა გამოუცხადა და უბრძანა ერთ თვეში საქორწინოდ მომზადებულიყო, მამის თვალებში საკუთარი ბედის უმწეობა ამოიკითხა.

— აჰ, აჰ, აჰ!

ღამის სილამაზე და სამყაროს სიდიადე დიდი ხნით ვერ იპყრობს ადამიანის წარმოსახვას. დედამიწის ხვავრიელი სუნთქვა ჩერდება, ფატას სული ეხუთება. სამყაროს უსასრულო სივრცეში ვარსკვლავები ჰქრებიან. ბედი, მისი მკაცრი ბედი კი, ისევ ზღურბლზე მომდგარა, ირგვლივ გამეფებულ სიწყნარეში, სიცარიელეში და გახევებულ სამყაროში ფეხაკრეფით მოიპარება და აუცილებლად აღსრულდება.

ოთახიდან ყრუ ხველა მოისმის. დიახ, ესმის და ხედავს, თითქოსდა მამა მის წინაშე იდგეს. ეს მისი ძლიერი და საყვარელი მამაა, ვისთანაც ბავშვობიდანვე შესისხლხორცებულა.

მახრჩობელა ხველამ მამის ორგანიზმი შეარყია და ფატას გულსაც გაჰკრა, მართალია, სწორედ მამამ თქვა „ჰო“, როცა თვითონ უარით უპასუხა, მაინც ყველაფერში თანახმაა, მამის „ჰოც“ და ფატას „არაც“ ორივე თანაბრად ეკუთვნის ფატას.

განკითხვის ჟამი ახლოს არის. ის დღეს მოვა, მაგრამ ფატა სხვა გზას ვერა პოულობს, ვერა ხედავს, რადგან გამოსავალი არ არსებობს.

ერთი რამ კი მტკიცედ სჯერა. ეს მამისეული „ჰო“ მისთვის ისევე სავალდებულოა, როგორც საკუთარი „არა“. მამის თანხმობა ავალებს მუსტაი-ბეგის შვილთან ერთად წარდგეს კადიის* წინაშე, რადგან გაფიქრებაც კი არ შეიძლება, რომ ავიდ-აღა ოსმანაღიჩმა სიტყვა გატეხოს. მაგრამ ასევე მტკიცედ სჯერა, რომ მისი ფეხი ნეზუკაში არ იქნება, რადგან მაშინ თავისი სიტყვის გამტეხი გახდება. ესეც შეუძლებელია, ესეც ოსმანაღიჩის სიტყვის შეუსრულებლობა გამოვა.

აქ, ამ მკვდარ შუალედში, თავის „უარსა“ და მამის „ჰოს“ შორის, თავის სოფელსა და ნეზუკას შორის უნდა ეძებოს გამოსავალი. ეს აზრი მთელ მის გონებას იპყრობდა, მისი ფიქრები აღარ დაფოფინებდნენ უსაზღვრო და ზღაპრული სამყაროს სივრცეში. ახლა ეს ფიქრები იმ მოკლე და სევდიან გზას დასტრიალებდნენ, რომელიც სასამართლოდან (სადაც კადიას ჯვარი უნდა დაეწერა) იმ ხიდის ბოლომდე მიიყვანდა, საიდანაც კლდოვანა ციცაბოზე წვრილი ბილიკი იწყებოდა. ფატამ იცის, ცოცხალი თავით ბილიკზე ფეხს არ შედგამს, მისი გონება, როგორც საფეიქრო მაქო საქსოვ ჯარას, ერთთავად გზის ამ მონაკვეთს დასტრიალებდა. ჯერ სასამართლო შენობას, მერე მოედანს გაუვლის, ხიდის ბოლომდე მივა... იქ კი... თითქოს ფიქრები გაუვალ კედელს წააწყდაო, ისევ თავიდან იწყებდა ფიქრს — ჯერ ხიდი, მერე მოედანი, ბაზარი, სასამართლოს შენობა, მერე ისევ თავიდან იწყებდა... ასე ეხვეოდა მისი ბედისწერის ძაფი და გამოსავალს ამაოდ ეძებდა.

მისი ფიქრი წამდაუწუმ კაპიის ღია ქვისგან გამოთლილ ლამაზ დივანს დასტრიალებდა თავს, სადაც თავშეყრილი ხალხი მღეროდნენ და მასლაათობდნენ, მის ქვეშ კი მწვანე მდინარის სწრაფი და ღრმა ტალღები ბობოქრობდა.

ფატას ყალყზე შემდგარი ფიქრები კაპიიდან შორს მიფრინავდა, თითქოს უკან წყევლა-კრულვა მისდევსო. ისევ აქეთ-იქით აწყდებოდა, მაგრამ სხვა გამოსავალს ველარ პოულობდა და ისევ კაპიას უბრუნდებოდა და ყოველ ღამე უფროდაუფრო ეჭიდებოდა ამ აზრს.

იმის შეგრძნება, რომ ბოლოსდაბოლოს დადგება ის დღეც, როცა ოცნებაში კი არა, ცხადლივ მოუწევს ამ გზის გავლა, ვიდრე ფატა ხიდიდან ფეხს გადმოადგამდა და გადაწყვეტილებას მიიღებდა, სიკვდილისა და შერცხვენილი სიცოცხლის შიში იპყრობდა; ასეთ სუსტსა და ეულს ეჩვენებოდა, რომ ამ ფიქრების ქაოსმა უნდა გააძევოს ან გაახანგრძლივოს ამ დღის მოახლოვებაო. დრო კი, როგორც წესი და რიგი იყო, ისე მიდიოდა, არცა ჩქარობდა და არცა ნელიაობდა. მძიმედ და უმოწყალოდ ახლოვდებოდა და ბოლოს საქორწილო დღეც დადგა: აგვისტოს ბოლო ხუთშაბათს, ქალის წასაყვანად, ბოლშოი-ლუგში ხამზიჩებმა ცხენები მოაგელვეს. ახალ, მძიმე ფერეჯის ქვეშ შეფარებული ფატა ცხენზე შესვეს და ნეზუკის გზას გაუყენეს. ეზოში მზითვის სკივრებით აკიდებული ცხენები იდგნენ. სასამართლოს შენობაში კადიას წინაშე ქორწინების წესი აღასრულეს. შესრულდა ავიდ-აღას სიტყვა, რომ მუსტარ-ბეგის შვილს თავის ქალიშვილს მიათხოვებდა, მერე ცხენოსნები ნეზუკისაკენ მიმავალ გზაზე დაწალიკდნენ, სადაც ქორწილისათვის ყველაფერი მოემზადებინათ.

აი, უკან დარჩა ბაზარი და მოედანი, — იმ საბედისწერო გზის ერთი მონაკვეთი, საითკენაც ასე ხშირად დაბორიალობდნენ ფატას ფიქრები. გოგონას თავი მხნედ და ლაღად ეჭირა, იმაზე უფრო მშვიდად, ვიდრე იმ ღამეს, როცა გეგმებს აწყობდა.

მას უკვე აღარ აფორიაქებდა უსაზღვრო ვარსკვლავები, არც მამის ყრუ ხველა, არც დროის სრბოლისა და შეჩერების სურვილი, როცა მაყრიონი ხიდზე შედგა, ფატას ისევ წამოეძალა ის განცდები, რასაც ზაფხულის ღამეში ფანჯარასთან მდგომი გრძნობდა ხოლმე. განსაკუთრებით კი გულმა იგრძნო, რომელიც საქორწინო კაბას ისე შეებოჭა, გეგონებოდათ ჯავშანში ჩაუსვამთო.

— აი კაპიაც.

---

***. კადია — მაჰმადიანების სასულიერო მოსამართლე, რომელიც ქორწინებას აუცილებლად ესწრება.**

დიდი ხნის წინ, უძილო ღამეებში მიღებული გადაწყვეტილების ასასრულებლად ქალიშვილი უნაგირიდან გადაიხარა და გვერდზე მიმავალ უმცროს ძმას წასჩურჩულა, ვიდრე ხიდიდან ნეზუკის ციცაბო ბილიკს დაადგებოდნენ, ცხენისათვის გარსაკრავები მოეჭირებინა. ისინი შეჩერდნენ, საქორწინო მაყრიონმაც შეაფერხა ცხენები. გასაკვირი არაფერი იყო, პირველად და უკანასკნელად ხომ არ უხდებოდათ მაჭანკლებს კაპიაზე შეჩერება?

ვიდრე ძმამ თავის ცხენს აღვირი კისერზე გადაუგდო და შემოუარა, ქალიშვილმა ცხენი ხიდის კიდემდე მიაგდო, მარჯვენა ფეხი ქვის მოაჯირს დააბჯინა, უნაგირიდან ჩიტივით მსუბუქად წამოფრინდა და პირდაპირ აქაფებულ მდინარეში გადაეშვა. მაშინათვე მივარდა ძმა და მოაჯირს გადაეჭდო, ძლივს მოასწრო ქარისაგან აფრიალებული ფერეჯისათვის ხელი ეტაცნა, მაგრამ ისიც ხელიდან გაუფრინდა.

მექორწილენი წივილ-კივილით ჩამოქვეითდნენ და მოაჯირზე გადაყუდებულნი გაქვავებულივით გაშეშდნენ ერთ ადგილზე.

სალამოს ამ დროისათვის უჩვეულო ცივი და დიდი წვიმა მოვიდა. დრინა ადიდდა და აიმღვრა. მეორე დღეს დრინას მოყვითალო ტალღებმა ფატა კალატის მეჩეჩზე გამორიყა, გვამი ერთმა მეთევზემ შეამჩნია და დაცვის უფროსს შეატყობინა.

უფროსი მალე მივიდა მუქტართან, მეთევზესთან და ჩორკანთან ერთად, ურომლისოდაც არაფერი ხდებოდა ხოლმე.

გვამი რბილ, სველ ქვიშაზე ეგდო, მღვრიე ტალღები ხან გარშემო უვლიდნენ, ხან ზედ გადადიოდნენ.

ფატას საქორწინო სამოსელი მთლად განძარცვოდა. წყალს დაეხია და თავიდან გადაეძრო ახალი, შავი ფერეჯა, რომელიც გრძელ ნაწნავებთან ერთად, მის თეთრსა და სიცოცხლით სავსე სხეულის გვერდით, შლამზე შავ ლაქასავით მოჩანდა. შუბლშეჭმუხნილი და კრიჭაშეკრული ჩორკანი და მეთევზე მეჩეჩზე ჩავიდნენ. შიშველი ქალიშვილი, რომელიც უკვე ჩაძირვას იწყებდა, სველი ქვიშიდან ამოთხარეს, ცოცხალივით ფრთხილად გადმოიყვანეს ნაპირზე და უმალ შლამიანი ფერეჯა გადაახურეს.

უბედური, იმავე დღეს ბოლშოი-ლუგის ფერდობზე, უახლოეს თურქულ სასაფლაოზე დაკრძალეს.

საღამოთი, ტრაქტირში, მეთევზესა და ჩორკანს უსაქმურები შემოუსხდნენ. ისინი შეპყრობილნი იყვნენ საზიზღარი, ავადმყოფური ცნობისმოყვარეობით, რ..მლებიც განსაკუთრებით იმ ადამიანებს აქვთ განვითარებული, ვინც სილამაზის, აღმაფრენისა და ძლიერი განცდების მიღმა ცხოვრობს, ცხოვრობს ფუჭად, უშინაარსოდ. ისინი მეთევზესა და ჩორკანს რაყიითა და თუთუნით უმასპინძლდებოდნენ, იქნებ როგორმე რამე დავაცდენინოთო, მაგრამ ამაოდ. რაყიამაც ვერ შეძლო მათი ენის გახსნა.

ჩორკანი, საერთოდ, არაფერს ამბობდა, განუწყვეტლივ პაპიროსს ქაჩავდა და ერთადერთი თვალით პირიდან გამოშვებულ ბოლს მისჩერებოდა.

დროდადრო, მეთევზე და ჩორკანი, ერთმანეთს შეხედავდნენ. ჭიქას ასწევდნენ, თითქოს მიცვალებულის შესანდობარს ამბობენო. მდუმარედ, უცებ გადაჰკრავდნენ ხოლმე.

ასე გათამაშდა უჩვეულო და დაუვიწყარი ტრაგედია კაპიაზე. ბოლშოი-ლუგი არ ჩავიდა ნეზუკაში და ავიდ-აღას ქალიშვილი — ფატა ხამზიჩის ცოლი არ გახდა.

ავიდ-აღა ოსმანაღიჩი, ქალაქში აღარ გამოჩენილა. იმავე ზამთარს ხველამ წირვა ისე გამოუყვანა, კაციშვილთან სიტყვა არ დაუძრავს იმ გამოუნელებელ ვარამზე, რამაც საფლავში ჩაიყვანა.

მომდევნო გაზაფხულზე, ხამზიჩმა ვაყიშვილი ბრანკოვიჩელ გოგონაზე დააქორწინა.

ერთხანს ქალაქელები ბევრს ლაპარაკობდნენ, მერე კი მიივიწყეს. მხოლოდ სიმღერა-ღა შემორჩა იმ ქალიშვილზე, რომლის ჭკუასა და სილამაზეს ბადალი არა ჰყავდა, მაგრამ არც ერთმა და არც მეორემ გაჭირვების ჟამს ვერ უშველა.

იუგოსლავურიდან თარგმნა **მედეა კახიძემ**

## რასისტული კანონების მსხვერპლნი

ცოლ-ქმარი რანაიანაკენები, რასისტული სახელმწიფოს — სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მოქალაქენი, ეროვნებით ინდოელები არიან. 1964 წელს ისინი თავიანთი წინაპრების სამშობლოს ინდოეთის მოსანახულებლად გაემგზავრნენ. ბომბეიში მათ შვილი შეეძინათ. უსაზღვრო იყო მეუღლეთა სიხარული. აფრიკაში ბრუნდებოდნენ მეტად კმაყოფილნი იმით, რომ ნათესავებსა და ნაცნობებს თავიანთ მემკვიდრეს უჩვენებდნენ. მაგრამ, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის აეროდრომზე მოხდა სრულიად მოულოდნელი ამბავი — ძუძუმწოვარა ბიჭი „კანონის დამრღვევი" აღმოჩნდა. აეროდრომის პოლიციის უფროსმა ცოლ-ქმარს განუცხადა: ამ მოქალაქეს ეკრძალება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში შემოსვლაო. პოლიციის ჩინოვნიკების განმარტებით, ბავშვი უცხოელი იყო. რასისტული კანონების მიხედვით კი, ფერადკანიან უცხოელებს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში შესვლის უფლება არა აქვთ.

მშობლები იძულებული გახდნენ შვილი უკან, ინდოეთში გაეგზავნათ. ახლა ბიჭი ოთხი წლისაა და მშობლები ამაოდ იღწვიან მისი დაბრუნებისათვის. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტი აფრიკაში ჩასვლის უფლებას არ აძლევს „კანონის დამრღვევს". ბავშვი კვლავ რასისტული კანონის გარეშე რჩება.

* * *

...იოჰანესბურგის სასამართლო არჩევს კანონის „დამრღვევის" საქმეს. მთავარი მოპასუხეა მისის ჯონსი. სრული თანხმობით ცხოვრობდა იგი 24 წლის მანძილზე ქმართან. ხუთი შვილიცა ჰყავთ.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ მეზობელმა ქალმა მისის ჯონსი დააბეზღა. როცა ფერვურდის ხელისუფლებამ საქმის გარჩევა დაიწყო, გამოირკვა, რომ მისის ჯონსის პაპის მამა აფრიკელი იყო. ეს იმას ნიშნავს, რომ მისის ჯონსმა და მისმა ქმარმა დაარღვიეს უბადალებული რასისტული კანონი „თეთრი რასის სიწმინდის დაცვის" შესახებ, უფრო მეტიც. მოსამართლეების კვალიფიკაციით ეს იყო „ზანგი ქალის მიერ თეთრი კაცის ცდუნება".

ადამიანებს, რომლებსაც 24 წლის მანძილზე ერთმანეთი უყვარდათ, ერთმანეთის ნახვა აეკრძალათ. მისის ჯონსი თავის შვილებსაც ვერ ნახავს, ვიდრე იგი და მისი ქმარი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში იქნებიან. ასე გაუსწორდნენ რასისტები ქალს იმისათვის, რომ მის ძარღვებში აფრიკული სისხლი დიოდა.

* * *

დამახასიათებელი შემთხვევა მოხდა კეიპტაუნში. დასავლეთგერმანელმა მეზღვაურმა გ. ელერტმა დაწინდა სამხრეთაფრიკელი ქალიშვილი დ. უენსი, რომლის მამა აფრიკელი იყო, დედა კი — ინდიელი. ამან კეიპტაუნელ რასისტთა საშინელი მრისხანება გამოიწვია. ქალაქის პოლიციის უფროსის განკარგულებით, მეზღვაური გ. ელერტი დაუყოვნებლივ დააბრუნეს თავის გემზე, ხოლო გემის კაპიტანს „ურჩიეს" რაც შეიძლება სწრაფად გასულიყო ზღვაში.

საშინელი განსაცდელი გადაიტანა ქალიშვილმა, როცა ის გემზე მიჰყავდათ: რასისტების ბრბომ კინაღამ მოჰკლა იგი. სასამართლომ დ. უენსის ბრალად დასდო „თეთრი რასის გაჭუჭყიანება" და სამი წლის პატიმრობა მიუსაჯა.

# ტაში მასაც ეკუთვნის





იმ დღეს ყვავილებისა და სიმღერების დღესასწაული იყო. თბილისის საარტილერიო სასწავლებლის კლუბის სცენაზე ტანშემართული ქალის ტკბილი სიმღერა იღვრებოდა, დარბაზში არ ცხრებოდა ტაშის გრიალი. გუგული ზარიძე სმენადქცეული მისჩერებოდა მომღერალს. მისჩერებოდა და არ სჯეროდა, რომ ეს ის ევა ასადულა იყო, ამ რამდენიმე წლის წინათ, სამიოდე წლის გოგონათი, გაცრეცილი, გაწამებული სახით რომ შემოაღო მისი სამუშაო ოთახის კარი.

— თავიდანვე ვერ აეწყო ჩემი ცხოვრება. მშობლები სამამულო ომში დავკარგე, სიყვარულში მოვტყუვდი. უსუსური ბავშვით დავრჩი, უთვისტომო, მიუსაფარი. ურალიდან გადმოვიხვეწე, რათა გავცლოდი იმ კაცს, ვინც ჩემი გრძნობა მასხრად აიგდო. ახლა თქვენი იმედი მაქვს, — უამბობდა ქალი და ცრემლებს ღვრიდა.

გუგული ჯერ პატარას მიეფერა, მერე ევას დაუყვავა. მეორე დღეს გოგონა კოჯრის სკოლა-ინტერნატში მოაწყო, ევა კი დამქირავებელთან გააფორმა შინამოსამსახურედ...

ტაშის გრიალმა გუგულის ფიქრის ძაფი გაუწყვიტა. თურმე კონცერტი დამთავრებულიყო. ხალხის ტალღას ფეხდაფეხ მიჰყვა გუგული. ყვავილებით აფეთქებულ ქუჩებში ლაღად დასეირნობდნენ მხიარული ვაჟები და ქალიშვილები. ამ ბედნიერი თაობის შემყურე გუგულის რატომღაც ისევ ევა გაახსენდა. „თუ არა წყეული ომი...“ — გაიფიქრა და შორეული წარსული მოაგონდა.

მაშინ გუგული ბავშვთა სახლში მუშაობდა, უფროს აღმზრდელ-მასწავლებლად. ამ სახლში ყოველდღე განუწყვეტლივ მოჰყავდათ მილიციის მუშაკებს ქუჩებში, რკინიგზის სადგურებში მოკრეფილი ტანისამოსშემოძარცვული, სამოქალაქო ომის მიერ გაუბედურებული, გზასაცდენილი ბავშვები. მათ არც საკუთარი სახელი ჰქონდათ და არც გვარი. არც არავის სიყვარული და პატივისცემა. გუგული საოცარ სიყვარულს იჩენდა მათ მიმართ. ცდილობდა ჩაეხედა მათ სულში, თითოეულის ხასიათი შეესწავლა. ეშინოდა ისედაც მკაცრი ცხოვრების მიერ დაჩაგრული ყმაწვილებისათვის გული არ ეტკინა. დიდი ტაქტის შედეგად ხშირად ახერხებდა მათი ნდობის მოპოვებას, მაგრამ ხანდახან წინააღმდეგობასაც აწყდებოდა.

გუგულის არასოდეს დაავიწყდება კერპი, თავნება ბიჭი გიორგი ხახანაშვილი. გიორგის სახეზე ადამიანისადმი ზიზღი და უნდობლობა ეკერა მხოლოდ. ეტყობოდა, მწარე გაკვეთილი ჰქონდა გავლილი. გუგულიმ მთელი ძალა მოიკრიფა, რათა ყმაწვილის გაქვავებული გული გაეთბო. განსაკუთრებულ სითბოს და ყურადღებას იჩენდა მის მიმართ, მაგრამ იგრძნო, რომ ეს უფრო აღიზიანებდა ბიჭს. მერე გუგულიმ ტაქტი შესცვალა და ისე შედიოდა ჯგუფში, ვითომცდა სულ ვერ ამჩნევდა გიორგის.

...გუგული იმ საღამოს საბავშვო სახლში მორიგეობდა. ყმაწვილებში გიორგი ვერ შენიშნა. შეშინდა ქალი და მოსაძებნად დააპირა წასვლა, რომ საიდანღაც პიანინოს ხმა შემოესმა. გუგული ხმას მიჰყვა და საკონცერტო ოთახის კარებთან გაქვავდა. გიორგი მისჯდომოდა პიანინოს, იგი უკრავდა გატაცებით, უკრავდა და მთელ თავის გაწამებულ ცხოვრებას მუსიკაში აქსოვდა. გუგული ფრთხილი ნაბიჯებით დაიძრა გიორგისაკენ, გიორგიმ იგრძნო მასწავლებლის მიახლოვება, დაკვრა შეწყვიტა, მაღლა აიხედა და მერე ქვითინით ჩაეკრა გუგულის მკერდს...

ცხრა წლის მანძილზე ვინ მოთვლის რამდენი გზასაცდენილი ახალგაზრდა შემოაბრუნა გუგული ზარიძემ, რამდენს გაუკაფა გზა და სახელოვან მოქალაქედ აქცია.

1931 წელს გუგული მშენებლობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური სამმართველოს საქმეთა მმართველად გადაიყვანეს.

1934 წელს კომუნალური მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან არსებულ შინამოსამსახურეთა ადგილკომის ჯერ მდივნად, მერე თავმჯდომარედ მუშაობდა. იგი კეთილსინდისიერად ეწეოდა შინამოსამსახურეთა და მეეზოვეების შრომითი საქმიანობის აღრიცხვას, მათი დისციპლინისა და მორალური მხარეების შემოწმებას.

1940 წლიდან დღემდე გუგული ზარიძე შინამოსამსახურეთა პროფკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარეა. განუწყვეტლივ მოდიან მასთან უპატრონო ქალები, მარტოხელა დედები, მოდიან და შველას სთხოვენ. გუგულის ყოველთვის აქვს მათთვის შემონახული თბილი გული და ალერსიანი სიტყვები, ყოველთვის აქვს საშუალება მათ სამუშაო გამოუნახოს, დაარიგოს და კეთილ გზაზე დააყენოს.

შინამოსამსახურეთა პროფკავშირის საქალაქო კომიტეტთან შექმნილია შინამოსამსახურეთა თვითმოქმედი ანსამბლი. ეს ნიჭიერი ანსამბლი დიდ მოწონებას იმსახურებს. ამ კოლექტივს ახლა ორი ოქროს და ხუთი ვერცხლის მედალი ამშვენებს. ანსამბლი ხშირად მართავს კონცერტებს სამხედრო ნაწილებში, ჰოსპიტლებში.

...ტაშის გრიალი არ ცხრება დარბაზში და, გასაგებია, რომ ხალხის მიერ ტაშით გამოთქმული მადლობა გუგული ზარიძესაც ეკუთვნის...

**ოლია გაბუნია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პარიზის კომუნის გმირი



# ლუიზა მიშელი

კარლ X მეფობის დროს ზემო მარნის დეპარტამენტის ერთ პატარა სოფელში ცხოვრობდა გოგონა, მას ლუიზა მიშელს ეძახდნენ. მისი დედა მარიანა—შინამოსამსახურე იყო, მამა—ადგილ-მამულის მფლობელის შვილი. ლუიზას დედის მშობლები ზრდიდნენ. მათი გარდაცვალების შემდეგ, კანონიერმა მემკვიდრეებმა ქალიშვილი სახლიდან გააგდეს. ლუიზამ მასწავლებლობა დაიწყო და ამით არჩენდა დედას და თავსაც.

1851 წლის 2 დეკემბერს მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ლუიზას ბრალი დასდეს—მოსწავლეებს „მარსელიოზას" ამღერებდაო. ლ. მიშელი პარიზში გაემგზავრა და მუშაობა დაიწყო თავისუფალ სკოლაში, სადაც არ მოითხოვდნენ იმპერატორ ლუი ნაპოლეონის ერთგულებაზე ფიცის დადებას.

შესანიშნავი აღმზრდელი, მუშაობაში იყენებს ისეთ პედაგოგიურ მეთოდებს, რომლებმაც საუკუნის შემდეგ ჰპოვეს აღიარება, იგი ბავშვებს აცნობს შესასწავლ საგნებს, უნერგავს მათ ცხოვრებისა და მეცნიერების სიყვარულს. ამასთან ლუიზა მიშელი ისმენს ლექციებს ფილოსოფიაში შედის ქალთა უფლებებისათვის მებრძოლ საზოგადოებაში.

1870 წელს იფეთქა საფრანგეთ-პრუსიის ომმა, პრუსიელებმა ალყაში მოაქციეს პარიზი. ამ დროს ლუიზამ თავისი მოსწავლეებისათვის მოაწყო სასადილო, დედაქალაქის მე-18 ოკრუგში ჩამოაყალიბა ქალთა სიფხიზლის კომიტეტი. ეს კომიტეტი დახმარებას უწევდა ხალხს, ავადმყოფებს.

პარიზის ხალხმა იგრძნო, რომ ბურჟუაზია მტრის წინაშე კაპიტულაციას მოახდენდა და 1871 წლის 22 იანვარს რატუშის მოედანზე მოაწყო მანიფესტაცია, მოითხოვა იარაღი. ლუიზა თავის მოხუც დედასთან ერთად ამ მანიფესტაციის მონაწილე იყო. ჟანდარმებმა ტყვია დაუშინეს მანიფესტაციის მონაწილეებს, ერთი თვის შემდეგ კი გერმანელმა ტიერმა ხელი მოაწერა პრუსიასთან ზავის წინასწარ პირობებს. მაგრამ 18 მარტს, როცა გენერალი ლეკონტი შეეცადა მონმარტრის მაღლობებიდან მოეხსნა ზარბაზნები და წაეღო, ხალხი, პირველ რიგში ქალები წინ აღუდგნენ მას. ქალთა წყალობით ჯარისკაცებმა ხიშტები მიწაში ჩაარჭეს და მუშებთან დაძმობილება იწყეს. დგებოდა პარიზის კომუნის დღეები.

ნატალია ლემენთან ერთად ლუიზა ბრძოლისაკენ მოუწოდებდა პარიზელ ქალებს. იგი მუშაობას იწყებს საველე ჰოსპიტალში, პირველ დახმარებას უწევს დაჭრილებს, გმირულად იბრძვის ბარიკადებზე. როცა პარიზის კომუნა დაეცა, დაიწყო კომუნარებისათვის ანგარიშის გასწორება.

კომუნის ჯალათებს ხელში ჩაუვარდათ ლუიზა მიშელიც.

სასამართლო პროცესმა იმ ადამიანის წინაამდეგ, ვისაც გაზეთებმა „წითელი ქალწული" შეარქვეს, სენსაცია გამოიწვია მთელ პარიზში. ლუიზამ მის წინაამდეგ წაყენებული არც ერთი ბრალდება არ უარყო. მან სასამართლოს პირში მიახალა: „რატომ უნდა დავიცვა თავი? სულ ერთია, რაც არ უნდა ვთქვა, განაჩენს არ შეცვლით. თავისუფლებისათვის ყველა ამ მებრძოლს მხოლოდ ერთი უფლება აქვს — მიიღოს ტყვიის პატარა ნაჭერი. მეც მოვითხოვ ჩემს წილს".

ლუიზა მიშელს ახალ კალედონიაში გადასახლება მიუსაჯეს. პირველად იგი ობერივის საპყრობილეში ჩაამწყვდიეს. ვაჟკაცობასა და სიმამაცეს არასოდეს არ უღალატია მისთვის. 1878 წელს ლუიზა ბადრაგის თანხლებით შორეული ახალი კალედონიის გზას გაუყენეს.

მამაცი ქალიშვილი სხვებზე უკეთესად იტანდა გადასახლებას. იგი ადვილად დაუახლოვდა მის ბედში მყოფ სხვა ადამიანებს. ფრანგულ ენას ასწავლის ალჟირიდან ჩამოყვანილ არაბ გადასახლებულებს. მალე ლუიზა გადასახლებულთა ბავშვების მასწავლებლად დანიშნეს ახალი კალედონიის მთავარ ქალაქში—ნუმეაში. შემდეგ ქალაქის მერმა მას მიანდო ქალთა სკოლაში მუსიკისა და ხატვის სწავლება.

1879 წლის ამინისტიამ ლუიზას საფრანგეთში დაბრუნების უფლება მისცა. სამშობლოში დაბრუნებული, კვლავ გამოდის ქალთა და ყველა ჩაგრულთა უფლებების დასაცავად. მისი მამაცობა ყველა კეთილი ნების ადამიანის სიმპატიას იმსახურებდა.

1883 წელს, ლუიზა მიშელს სასამართლომ 6 წლის პატიმრობა მიუსაჯა უმუშევართა დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის.

ლუიზა მიშელი მხურვალედ მიესალმა 1905 წელს რუსეთში დაწყებულ რევოლუციას.

ჟილეტ ციგლერი,

გაზეთი „იუმანიტე-დიმანში" (პარიზი).

ჩვენი ჟურნალის 1967 წლის მე-4 ნომერში დაბეჭდილ წერილს — „ღია ბარათი ჩემს უცნობ მშობლებს“ — მკითხველთა დიდი გამოხმაურება მოჰყვა. რამდენიმე მათგანი რედაქციამ გამოაქვეყნა, მაგრამ საკითხი, რომელსაც აღნიშნული წერილი შეეხებოდა, ჩანს, იმდენად მტკივნეულია, რომ მასზე წერა ჯერაც არ შეწყვეტილა.

რედაქციას არა აქვს საშუალება ყველა წერილის გამოქვეყნებისა. გაგაცნობთ მხოლოდ ზოგიერთის ნაწყვეტს.

„ჩემო გოგონი! თქვენი ოჯახის მსგავსი ბედი მრავალს გვხვდა წილად, თქვენისთანა შვილიკოებზე ვამყარებთ ჩვენი სიცოცხლის აზრს და იმედს, არ ვაკლებთ სიტკბოს, სითბოსა და მშობლიურ ზრუნვას, მაგრამ თან გვდევს შ ი შ ი იმისა, რომ ჩვენი გაზრდილები ოდესმე შეიტყობენ, რომ ჩვენი ნაშობნი არ არიან და ეს სამუდამო დაღს დაასვამს ჩვენს ტკბილ დედაშვილობას.

...ასეთი ადამიანები უნდა დაისაჯონ, რომ არ ჩაახშონ მრავალ უნაყოფო დედაში, ბავშვის აღზრდის სურვილი.“

ხელს აწერს რამდენიმე დედა.

„...მოვითხოვთ არამკითხე „კეთილის მსურველების“ კანონით დასჯას, იმ ბოროტი ადამიანების დასჯას, რომლებთაც სურთ მოუშუშებელი დაღი დაასვან, როგორც აღმზრდელთა, ისე აღზრდილთა ბედს. გვიხსენით, დაგვეხმარეთ, რომ ჩვენს ნამდვილ მშობლიურ შრომას, ზრუნვასა და სიყვარულს არ ახლდეს შიში და სიცოცხლეს არ გვიწამლავდეს“.

ხელს აწერს რამდენიმე დედა.

„...მეც, როგორც ბუნებისაგან დასჯილი დედა, ვღელავ, ვღელავ და ვ შ ი შ ო ბ: ვაითუ, ამ ჩემს ბედნიერებასაც ვინმე „კეთილის მსურველებმა“ მოუღონ ბოლო...

ვზრდი გოგონას, რომელიც უკვე 10 წლისაა და შევხარი მის ყოველ დღეს, ყოველ წუთს. ვზრდი 10 დღიდან და, როგორც გამზრდელ დედას, ბევრი ტანჯვა-წამება გადამხდა მის საწოლთან. და, აი, ერთი წელია შემიპყრო შ ი შ მ ა და დარდმა. ერთ-ერთი ჩემი ავი მეზობელი მემუქრება, ბავშვს ვეტყვი, ის რომ სხვისი შვილია და არა შენიო.

...იქნებ აღგვიძრათ შუამდგომლობა საკანონმდებლო ორგანოებთან, რათა დაგვეხმარონ ასეთ დედებს ოჯახის შენარჩუნება-განმტკიცებაში და რაიმე სასჯელი დააწესონ ისეთი ბოროტი ადამიანების მიმართ, რომლებიც ცდილობენ სხვისი ოჯახების დანგრევას...“

და არა მარტო წერილობითი გამოხმაურება!

საქართველოს შორეული რაიონიდან მოვიდა გოგონა. იგი ღელავდა, ტიროდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ყვებოდა თავის ამბავს.

„...ჩემს დედად აღმზრდელი მიმაჩნდა. უპატრონო მიპოვა თურმე რამდენიმე დღისა და აღმზარდა... აღარც გათხოვდა... კარგად ვცხოვრობდით, ბედნიერი ვიყავით; მაგრამ ახლა გავიგე, რომ ნამდვილი დედა სხვა ყოფილა და, მართალია, ჩემთვის ერთხელაც არ მოუკითხავს, მაგრამ გულმა იქით გამწია, გავიპარე, ვნახე... 3 შვილი ჰყავს... აღმზრდელმა დედამ ეს გაიგო და კი არაფერი უთქვამს, მაგრამ... არ ვიცი, რა მომდის... წინათ შენიშვნას რომ მომცემდა, არ მწყინდა, ახლა ყველაფერი სხვაგვარად მეჩვენება... ერთი სიტყვით, არც მშობელ დედას გახარებია ჩემი ნახვა და ალბათ ამასაც აღარ ვუყვარვარ... აღარც იქით ვარ, აღარც აქეთ... ხანდახან იქამდე მივდივარ, რომ... რა ვქნა? დამეხმარეთ, დამარიგეთ...“

„...ბავშვს თან ვყვებით, ისაა ჩვენი იმედი, სიხარული... ახლა უთხრეს, რომ ჩვენი შვილი არაა... არ ვიცით, რას იზამს, ვითომ გაგვწირავს... რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ?..“ — შემოგვჩივის ერთ-ერთი ასეთი ბავშვის მამა (დედა ელდისაგან ლოგინად ჩავარდნილა).

ასეთივე შეკითხვით შემოაღო რედაქციის კარი შუახნის ქალმა. მისი ისტორიაც მეტ-ნაკლებად წააგავს მისი ბედის მოზიარე, სხვისი ნაშობი ბავშვების დედების ამბავს.

დედა! უმაღლესი ჯილდო და უდიდესი ვალი, რომლისთვისაც ქალი დაბადებიდანვე ემზადება: დედოფალებს დასტრიალებს თავს, თავისზე პატარებს უვლის, მფარველობს, უალერსებს... და, აი. დგება დღე, როდესაც იგი აუწერელი ტკივილების საფასურად იძენს უძვირფასეს სახელს — „დედა!“

დედას უმღეროდა და უმღერის კაცობრიობის დასაბამიდან მსოფლიოს ყველა პოეტი. მხატვარი, კომპოზიტორი, მოქანდაკე...

მაგრამ ყველა ქალს როდი წილხდომია ეს დიდება! — ზოგი ბედს დაუჩაგრავს, ზოგი ბუნებას. ზოგს დაუფიქრებლად თვითონვე დაუსჯია საკუთარი თავი. შემდეგ... ზოგი მათგანი ხვედრს შერიგებია, ზოგს კი...

ამ დედებისათვის ღამე არავის უთევია. არც მშობიარობის ტკივილები განუცდიათ. არც არავის მოუხარებია ქალისა თუ ვაჟის დაბადება. არც ქმრისა და ახლობლის თანხლებით, ამაყად წელში გამართულს გამოუყვანია სამშობიარო სახლიდან თავისი პირმშო....

მაგრამ მათ, უშვილობის განაჩენით დაბეჩავებულთ. მრავალი უძილო ღამე უთენებიათ და უჩუმრად, გულით უტარებიათ მშობიარობის ტკივილებზე უფრო მწარე ტკივილი და ნატვრა, ნატვრა, რომელსაც ქმარსაც ვერ უმხელდნენ, თუმცა გრძნობდნენ, რომ მამობის სიხარულს მოკლებული მათი მეუღლენიც იმავე ტკივილსა და ნატვრას ატარებდნენ გულით...

და აი, ერთ მშვენიერ დღეს ის, ვისაც ასე გულით ნატრობდნენ, საკუთარი მშობლებისაგან მიტოვებული პატარა არსება, შემოდის მათ ჭერქვეშ. და იმ დღიდან იწყება ნანატრი ცხოვრება: აივანზე გაფენილი ციცქნა პერანგები, საფენები და სახვევები, პატარა საწოლი და ოჭიორა, პირველი „აღუ“, პირველი ღიმილი, პირველი კბილი, პირველი სიტყვები — „დედა“, „მამა“, პირველი ნაბიჯები... დედის კისერზე, მამის კისერზე შემოჭდობილი პატარა ხელები... და ამ ნეტარებასთან ერთად ღელვა და წუხილიც: საბავშვო სახადები, ექიმების გამოძახება, ბავშვის საწოლთან თეთრად ნათევი ღამეები...

...და აი, წამოიზარდა ბავშვი, მაგრამ მასთან ერთად იზრდება კიდევ სხვა ღელვა და შ ი შ ი, შ ი შ ი რომელიც ხანდახან ისე იპყრობს ამ უდანაშაულო დამნაშავეთ, რომ ისინი იცვლიან ბინას და ხანდახან საცხოვრებელ ადგილსაც კი.

რას და ვის გაურბიან ისინი?

დედა, რომელიც გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი, ისევ ბავშვის კეთილდღეობისათვის შელევია მას, არ ეცდება არც თავის ნაშობი შვილის გაუბედურებას და არც აღმზრდელ მშობლებს დაუკარგავს ამაგს. მაგრამ არიან ისეთი „დედებიც“, რომელთაც ბედის ანაბარა მიუტოვებიათ ახალშობილი და ახლა მოისურვეს სხვის მიერ გაზრდილი და დავაჟკაცებული ან დაქალებული შვილის უკან დაბრუნება (ასეთები, ხანდახან. არც ფულის გამოძალვას ერიდებიან).

არის ისეთი „კეთილისმსურველიც“. მეზობელი, ნაცნობი თუ ნათესავი, ვისაც შური. ღვარძლი, ბოროტება ამოქმედებს და ისეთებიც, ვინც ხელს ითბობს სხვის უბედურებაზე...

და საზოგადოებამ ხმა აიმაღლა...

# საქართველოს მკითხველს...

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია უერთდება თავის მკითხველთა თხოვნას და შუამდგომლობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე, რათა საკანონმდებლო დებულებაში შეტანილ იქნას სათანადო მუხლი, რომელიც აღკვეთავდა ბოროტებას და უზრუნველყოფდა ჭეშმარიტად მშობლიური ჭერის სიმშვიდეს, მოზარდი თაობის საკეთილდღეოდ.

# ბებიის დაბადების დღე

დღეს ბებიას 70 წელი შეუსრულდა. ის ჩვენს ოჯახში ყველაზე დიდია.

ჩემი ძმა იმედი 19 წლისაა, და — სიხარული 17-ის, ეს სახელები სულ ბებიაჩემის დარქმეულია. ასე გასინჯეთ, დედაჩემი 90 კილოგრამს იწონის და ციცქნა ჰქვია, წლოვანებას კი ვერ გეტყვით — მგონი თვითონაც არ იცის.

მე 7 წლისა ვარ და ბებია სიცოცხლეს მეძახის.

დედა და მამა სამსახურში დადიან, იმედი — ინსტიტუტში, სიხარული წელს ამთავრებს სკოლას.

ბებიაჩემს, მე რომ დავიბადე მაშინ დაუნებებია სამსახურისათვის თავი. დედა და მამა შეჩნიან: გეყოფა შრომა, დროა დაისვენეო. ჰოდა, ბებიაჩემიც, აგერ 7 წელია ისვენებს. ესე იგი მე მზრდის, ბინას ალაგებს, სადილს აკეთებს, ჭურჭელსა და სარეცხს რეცხავს. თვეში ერთხელ ფოსტალიონი პენსიას მოუტანს და ისიც დაარიგებს: ეს ციცქნას, ეს იმედს, ეს სიხარულსო და რა თქმა უნდა, არც მე მივიწყებს.

ამიტომ ბებია ყველას გვიყვარს და ყოველწლიურად ვზეიმობთ მისი დაბადების დღეს.

ეს დღე დედის და მამის ამხანაგებს მუდამ ახსოვთ. ანა ბებიას „კერძების ჯადოსანს" უძახიან და თეფშებს ისე ასუფთავებენ, გაგეხარდებათ. დღეს კი, ალბათ, ისე მოაპრიალებენ, გარეცხვაც აღარ დასჭირდება, რადგან გუშინდლიდან დაწყებული ბებიაჩემი წვავს, ხარშავს, აცხობს, და ბინაში ისეთი სუნი დგას, გაგაბრუებთ.

საცივი, ტორტი და რაღაცეები უკვე მზადაა. დღეისათვის მარტო გოჭისა და ინდაურის შეწვა, ხორცის ღვეზელის, ხაჭაპურების და მჭადების გამოცხობა, ღომის, კუჭმაჭის და კიდევ რაღაცეების დამზადებაღა დარჩა. სტუმრები სამ საათზე მოვლენ, რადგან საღამოს ბებია თეატრში მიდის. რაც სამსახურს თავი დაანება და ისვენებს, თეატრში აღარ ყოფილა.

დედამ და მამამ ბებიას თბილი ჩუსტები და წინსაფარი უსაჩუქრეს, თან თხოვეს, შენი დღეობაა და ხელი არ გაანძრიოო. აგერ, ჩვენ, აგერ, ბავშვები, შენ კი მხოლოდ გვიხელმძღვანელეო.

რა თქმა უნდა, ჩვენც გადავკოცნეთ და კიდევ ბევრი დღეობა ვუსურვეთ.

უცებ დედას მოაგონდა, რომ საპარიკმახეროში უნდა მიირბინოს და ლოგინის გასწორებაც ვერ მოასწრო, ისე გაიქცა. მამას რაღაც საჩქარო საქმე გამოუჩნდა, იმედმა და სიხარულმაც, ახლავე მოვალთო და...

დედა რომ შინ დაბრუნდა 1 საათი იყო. თან ახალი კაბა მოიტანა, ბებიის დღეობის აღსანიშნავად შეეკერა.

დედა ბებიას საყვედურობდა, ხომ გთხოვე, უჩემოდ ხელი არ გაგენძრიაო, თანაც ღელავდა, საცაა სტუმრებიც მოვლენ და ვაი თუ ვერაფერი მოვასწროთო, ბებია კი ამშვიდებდა: გოჭი და ინდაური შემწვარია, ახლა ღვეზელს ვაცხობ, მერე მჭადებს დავაცხობ და ღომი და ხაჭაპურებიც თავის დროზე იქნებაო.

ერთი სიტყვით, სრულ 3 საათზე სასადილო ოთახი სტუმრებით იყო სავსე.

თამადად დათო ბიძია აირჩიეს.

პირველი სადღეგრძელო იუბილარის იყო. სამზარეულოდან იგი პატივისცემის ნიშნად ხელკავით გამოიყვანეს, მაგრამ შუა სადღეგრძელომდე არ იყო მისული თამადა. რომ ბებიამ „ვაიმე, ხაჭაპური დამეწვაო". წამოიყვირა და სამზარეულოში გაიქცა.

სტუმრებმა ბებიას საპატივცემოდ „მრავალჟამიერიც" იმღერეს. მერე გამოიყვანეს და თხოვეს „მადლობელი ვარ" ემღერა, თამადამ ხელზე კოცნაც დაუპირა, მაგრამ ბებიამ არ დაანება, ცომიანი მაქვსო.

ერთი სიტყვით, კერძი კერძს მოსდევდა, ქება-ქებას. სტუმრებმა და მათთან ერთად დედამ, მამამ, იმედმა და სიხარულმაც ისე მოილხინეს, რომ ოთახს ზანზარი გაჰქონდა.

„ასი წლის შემდეგ კიდევ დავმტკბარიყავით თქვენი ნახელავითო" — ეუბნებოდნენ დამშვიდობებისას სტუმრები ბებიაჩემს.

მამამ ჯიბიდან თეატრის 4 ცალი ბილეთი ამოიღო. აღმოჩნდა, რომ „წმინდანები ჯოჯოხეთში" მარტო ბებიას კი არა, დედას და მამასაც არ უნახავს, და იმედი და სიხარულიც მხოლოდ ერთხელ ყოფილან ამ წარმოდგენაზე. ახლა იმაზე შეიქნა ლაპარაკი, შინ, ჩემთან ვინ დარჩენილიყო.

ბებიამ ყველას მოავლო თვალი და თქვა: იმდენი ვისიამოვნე, რომ ახლა მეხუთე ბილეთიც რომ იყოს, ჩემს სიცოცხლესთან დარჩენა მირჩევნიაო.

ჩვენები უკვე თეატრში არიან. ბებია კი მიდი-მოდის სასადილოსა და სამზარეულოს შორის, თან ღიღინებს „მადლობელი ვაარ".

სამზარეულოს მაგიდაზე თეფშების მთა იზრდება და ბებიაც ხმას უწევს „მაადლობელი ვაარ..."

გულმა აღარ მომითმინა და ვისი მადლობელი-თქო, შევეკითხე, — ჩემი თავისო. მიპასუხა, შვილიც და შვილიშვილებიც კარგად აღვზარდე და დღეობაც კარგი გადამიხადესო.

ბებიაჩემი ყოჩაღია და ვიცი, თეატრის დამთავრებამდე ჭურჭლის რეცხვასაც მორჩება, მერე გვერდით მომიწვება და ზღაპარს მომიყვება.

ნეტავი რომელ ზღაპარს?

მე მინდა, იმ ზღაპრის გმირი ბებია იყოს. ბებია — ზღაპრული მზეთუნახავი... და დღეს იმ მზეთუნახავის დაბადების დღე...

...ბებია კი რეცხავს ჭურჭელს და ღიღინებს: „მაადლობელი ვაარ..."

**მ. ნავარძიელი**


**გარეკანის პირველ გვერდზე — მ. გორკი. ქანდაკება მ. შადრისა.**

რედაქტორი **მარიკა ბარათაშვილი**

სარედ. კოლეგია: **ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე** (პ. მგ. მდივანი), **ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია** (მხატ. რედაქტორი), **თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.**

ტექრედაქტორი **ქ. დემუროვა.**

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

რედაქციის მისამართი — სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. №№ 9-50-39, 9-98-71, ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75. პირობით ფორ. რაოდ. 5,3.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/II 68 წ. ქაღალდის ზომა 60×92. ტირაჟი 100.000. შეკვ. № 329. უე 01928. **ფასი 80 კაპ.**

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, ლენინის ქ. № 14.

**ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს ქალი".**

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелос кали»

Издательство ЦК КП Грузии.











ეროვნული ბიბლიოთეკა







# საგაზა ფხულო მოდები





ИНДЕКС 76178







## თქვენთვის, დიასახლისებო!

შესანიშნავი საჩუქარი მივიღეთ ჩვენი რესპუბლიკის ქალებმა — საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ჟურნალ-ბიულეტენი „პირიმზე".

ჟურნალი გამოდის სამ თვეში ერთხელ. მასში საინტერესოდ არის მოთხრობილი იმ დიდ და სასარგებლო მუშაობის შესახებ, რომელიც გაშალა საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ ჩვენი — დიასახლისების შრომის შესამსუბუქებლად. „პირიმზე" სისტემატურად გვთავაზობს რჩევა-დარიგებებს ბინის მოწყობაზე, ტანსაცმლის შეკერვაზე, კოსმეტიკურ და კულინარულ რეცეპტებს, პრაქტიკულ რჩევებს.

ჟურნალ-ბიულეტენი მშვენივრად ფორმდება და უეჭველად დაამშვენებს ყველა დიასახლისის თაროს.